ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 17 ივლისი 2007 №162 (3085) ფასი 50 თეთრი




# რას გამოადნობს მეტალურგია?



## დღეს ფოლადზე: რუსთაველებისგან არაფერს ველით მოგების გარდა!

ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

ოლიმპი (საქართველო)

VS

ასტანა (ყაზახეთი)





„ოლიმპის“ თავკაცი ვარლამ კილასონია და მისი გუნდი

გურამ თოლორდავაშვილის ფოტო

# წარსული და მომავალი

რუსთავის „ოლიმპი“ — მეხუთე ქართული გუნდი, რომელიც უპრესტიჟულეს ევროტურნირზე, ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშებს. დღეს რუსთაველი ფეხბურთისთვის ისტორიული დღეა, დებიუტს სხვა ელფერი აქვს და წარმატებას ვუსურვებთ „ოლიმპს“...

სადღეგრძელოსმაგვარი სიტყვები იქით იყოს და, მოდით, დაწვრილებით ვნახოთ ქართული კლუბების საჩემპიონთალიგო სტატისტიკა — ცხადია, ლაპარაკია დამოუკიდებელი საქართველოს სახელით მოთამაშე გუნდებზე.

ქართველები 11-ჯერ ჩაერთვნენ საკვალიფიკაციო ეტაპზე და აქედან პირველი ბარიერი შვიდჯერ გადაულახავთ. წესით, შვიდი კი არა, რვა უნდა ყოფილიყო, მაგრამ გეხსომებათ 1993 წელი, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში თბილისის „დინამოს“ პირველი ევროგასვლა, როცა ჩრდილოირლანდიურ „ლინფილდთან“ წაგება ჩაუთვალეს. არადა, რა ნიჭიერი თაობა იყო, როგორ თამაშობდნენ — მაშინდელი „დინამოს“ ბირთვს 20-21 წლის ბიჭები წარმოადგენდნენ, მაგრამ, ფაქტობრივად, საქართველოს ნაკრები იყო...

1994-95, 1995-96 და 1997-97 წლებში საქართველოს ჩემპიონს დაბალი რეიტინგის გამო ჩემპიონთა ლიგაზე თამაშის უფლება არ ჰქონდა. მერე კი თბილისის „დინამო“ ზედიზედ ორჯერ იყო ლიგის ჯგუფურ ეტაპთან ერთ ნაბიჯში, მაგრამ ჯერ „ლევერკუზენმა“ ამოავსო გოლებით, 1998 წელს კი იღბალმაც მაგრად მიატოვა — გერერო-ეჩებერია-ურსაიხით და მწვრთნელ ლუის ფერნანდესით თავმომწონე „ბილბაოს“ შინ 2:1 მოუგო, სტუმრად კი 0:1 დათმო და ყველაზე კარგი შანსიც ასე განიავდა...

ცნობისთვის, „ლევერკუზენთან“ დინამოელებს დავით ყიფიანი, ბასკებთან კი მურთაზ ხურცილავა წვრთნიდა.

მომდევნო წელს, 1999-ში, „დინამოს“ იოჰან ბოსკამპი თავკაცობდა, თავდასხმაში კი ტლანქი ბრაზილიელი დე სოუზა ჰყავდა. კრახი! მოლდოვურმა „ზიმბრუმ“ გააგდო და ჰოლანდიურ პსვ-მდე არ მიუშვა.

მერე ლიგაზე მიჯრით სამი წელი „ტორპედომ“ ითამაშა — ქართული კლუბები ჯერ ისე დაბლა არ იყვნენ რეიტინგში და პირველ საკვალიფიკაციო ეტაპს ტოვებდნენ, „ტორპედოს“ კი პირველ წელს არა, მაგრამ რეიტინგგაუარესების შემდეგ ორჯერ სწორედ სამი ეტაპის გავლა სჭირდებოდა ჯგუფში მოსახვედრად. ქუთაისელები მეორე ეტაპს იქით არ წასულან — ჯერ ბელგრადის „პარტიზანმა“ დაჩაგრა, მერე სიბუსისუ ზუმას „კოპენჰაგენმა“ მოუგრიხა კისერი, ბოლოს კი ჩეხურმა „სპარტამ“ ორგზის აჯობა.

2003 წელს კი „დინამო“ ლიგას დაუბრუნდა, მაგრამ ვაი ასეთ დაბრუნებას. ივო შუშაკის ბიჭებმა უმაყურებლო ეროვნულ სტადიონზე ალბანურ „ტირანას“ 3:0 სძლიეს, მაგრამ ერთ კვირაში როგორღაც მოახერხეს და გავარდნენ...

„ვიტ ჯორჯიას“ ჯერიც დადგა, ვისაც პირველ ეტაპზე ფარერული „ტორსჰავნი“ ერგო — კუნძულელებმა თამაშის წინა დღეს „ეროვნულზე“ ვარჯიშის დროს საჯაროდ მოშარდეს, მეორე დღეს კი ვიტელებისგან 5:0 მიიღეს. საპასუხო მატჩში „ტორსჰავნმა“ 3:0 (!) იმარჯვა, რაც უკვე ცუდის ნიშანი იყო და აკი, პოლონურმა „ვისლამ“ „ვიტ ჯორჯიას“ მწარე ალიყური აჭამა თბილისში — საქართველოს ჩემპიონი 2:8 განადგურდა...

2005-ში „დინამომ“ კახა ცხადაძის მწვრთნელობით ესტონურ „ლევადიას“ ორი მატჩის ჯამში 2:1 მოუგო, მეორე ეტაპზე კი დანიურ „ბრონდბიუსთან“ ორივეში დამარცხდა. თბილისური წაგების შემდეგ ცხადაძე უნგრელ მსაჯს უწყრებოდა, მატჩის სცენარი ბუდაპეშტში დაიწერაო...

შარშან კი ლიგაზე ბოლნისის „სიონმაც“ შეაბიჯა, ისევ ცხადაძე იყო საქართველოს ჩემპიონის თავკაცი და ამჯერადაც საერთო ჯამში 2:1 აჯობა პირველ შემხვედრს — აზერბაიჯანულ „ბაკის“. მერე კი „სიონს“ ბულგარულ „ლევსკისთან“ შანსი არ ჰქონია, ორჯერვე წააგო...

შარშანდელის მსგავსად, ახლაც ქვემოქართლური გუნდი გადის ჩემპიონთა ლიგაზე და ახლაც პოსტსაბჭოური კლუბია პირველი მეტოქე...

**ილია ნანობაშვილი**

**ქართული კლუბები პოსტსაბჭოური კლუბების წინააღმდეგ:**

38 მატჩი, 24 მოგება, 3 ფრე, 11 წაგება, ბურთები 66:43

19 ბარიერიდან ქართველებმა 12-ჯერ იმარჯვეს, 7-ჯერ დამარცხდნენ

შენიშვნა: „ბათუმი“ — „არარატის“ მატჩში ბათუმელებმა 4:2 მოიგეს, მაგრამ 0:3 წაგება ჩაეთვალათ

## ქართული კლუბები ჩემპიონთა ლიგაზე

**1993-94**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

დინამო — ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) 2:1, 1:1

**1997-98**

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

კრუზეიდერსი (ჩრდ. ირლანდია) — დინამო 1:3, 1:5

**III საკვალიფიკაციო ეტაპი**

ლევერკუზენი (გერმანია) — დინამო 6:1, 0:1

**1998-99**

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

დინამო — ვლაზნია (ალბანეთი) 3:0, 1:3

**III საკვალიფიკაციო ეტაპი**

დინამო — ბილბაო (ესპანეთი) 2:1, 0:1

**1999-2000**

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

დინამო — ზიმბრუ (მოლდოვა) 2:1, 0:2

**2000-01**

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) — ტორპედო 4:0, 0:2

**2001-02**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) — ტორპედო 0:0, 0:1

**II საკვალიფიკაციო**

ტორპედო — კოპენჰაგენი (დანია) 1:1, 1:3

**2002-03**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

ტორპედო — ტორსჰავნი (ფარერები) 5:2, 1:0

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

სპარტა (ჩეხეთი) — ტორპედო 3:0, 2:1

**2003-04**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

დინამო — ტირანა (ალბანეთი) 3:0, 0:3 (პენ. 2:4)

**2004-05**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

ვიტ ჯორჯია — ტორსჰავნი (ფარერები) 5:0, 0:3

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

ვიტ ჯორჯია — ვისლა (პოლონეთი) 2:8, 0:3

**2005-06**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

ლევადია (ესტონეთი) — დინამო 1:0, 0:2

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

დინამო — ბრონდბიუ (დანია) 0:2, 1:3

**2006-07**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

სიონი — ბაკი (აზერბაიჯანი) 2:0, 0:1

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

ლევსკი (ბულგარეთი) — სიონი 2:0, 2:0

36 მატჩი, 15 მოგება, 3 ფრე, 18 წაგება, ბურთები 48:61

# რა ხდება ბელხატუვში?

## პოლონელები პრობლემებში ჩაიძირნენ

საქართველოს თასის მფლობელ „ამერთან“ უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩამდე პრობლემები მიეძალა პოლონურ „გკს ბელხატუვს“. დიდი შანსია, პოლონეთის ვიცე-ჩემპიონი ქართველებს შესუსტებული შემადგენლობით დაუხვდეს. ყოველ შემთხვევაში, ამის თაობაზე უკვე დაუფარავად წერენ იქაური სააგენტოები.



ლუკაშ გარგულა

ლუკაშ გარგულა, მარიუშ უჯეკი და დავიდ ნოვაკი — პოლონელები ამ სამეულზე ნერვიულობენ და მათ „ბელხატუვის“ ტესტ-მატჩების შემადგენლობებსაც თუ გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ ამათგან არც ერთს არც ერთ მატჩში არ უთამაშია.

ნოვაკის ამბავი გასაგებია — „ბელხატუვის“ ერთ-ერთი ლიდერი ვარჯიშზე მძიმედ დაშავდა და „ამერთან“ მისი თამაში ძალიან საეჭვოა. რაც შეეხებათ გარგულას და უჯეკს, აქ უფრო ჩახლართულადაა საქმე. გავრცელებული ცნობებით, ამათ საკმაოდ მიმზიდველი წინადადებები აქვთ და გუნდიდან წასვლა სურთ. პოლონელები იმასაც წერენ, ამ ყველაფრის გამო გკს-ს საუკეთესო ფეხბურთელ გარგულას კლუბის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა გაუფუჭდაო.

და ერთიც: გარკვეული პრობლემების გამო გუშინდლამდე ბელხატუველებს საუეფასთასო განაცხადში შეყვანილი არ ჰყავდათ პერუელი ფოელ ალექსანდერ ერერა ზეგარა. პოლონელი ჟურნალისტების აზრით, მთავარ მწვრთნელ ორესტ ლენჩიკს ამ საკითხის მოგვარების იმედი აღარც აქვს.

ვერ გეტყვით, ეს ყველაფერი სრული სიმართლეა თუ ნაცადი ხერხი, ანუ მატჩისწინა ფანდი, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ეს ფეხბურთელები გუნდს გერმანულ შეკრებაზე არ ახლდნენ...

**კახა შალამბერიძე**

### შვედეთი

**ალსვენსკა. XIV ტური**

ბრომაპოიკარნა 2:1 გეფლე

ჰალმსტადი 3:1 იორებრო

**სუპერეტა. XIV ტური**

ფალკენბერგი 0:3 მიალბი

ნორჩიოპინგი 3:2 დეგერფორსი

იოსტერსი 0:0 ენჩიოპინგი

### ამხანაგური მატჩები

რედინგი 1:0 ლიონი

რივერ პლეიტი 1:0 შიმიცუ

ესენი 1:4 სლავია

სტაბეკი 3:0 მოსი

მიოლდე 4:3 სკეიდი

ფრედრიკსტადი 2:1 კონგსვინგერი

სტიაუა 1:1 აეკ

მოტორსი — მაკლსფილდი გადაიდო

ჰეროგეიტი 0:1 ბრედფორდი

### აშშ

**MLS. XVIII ტური**

ჰიუსტონი 0:0 ტორონტო

### ფინეთი

**ვეიკაუსლიგა. XIII ტური**

ტურკუ 3:2 კტპ

### ევროპის 2007 წლის U-19 ჩემპიონატი

**A ჯგუფი. 1 ტური**

საბერძნეთი 1:0 პორტუგალია

ავსტრია 0:2 ესპანეთი

**B ჯგუფი. 1 ტური**

საფრანგეთი 5:2 სერბეთი

გერმანია 3:2 რუსეთი

### ისლანდია

**პრემიერდივიზიონი X ტური**

ფილკირი 0:3 ბრეიდაბლიკი

კოპავოგური 2:2 ვიკინგური

ფრამი 0:2 ვალიური

### ირლანდია

**პრემიერლიგა. XVIII ტური**

შემროკი 2:0 დუბლინი

# ჩემპიონთა ლიგა 2007–2008

## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი. დღეს

**რუსთავი. 17 ივლისი. 18.15 საათი. ფოლადი**

**ოლიმპი (საქართველო) — ასტანა (ყაზახეთი)**

მსაჯები: მარჩინ ბორსკი; რაფალ როსტკოვსკი, დარიუშ ვარდაკი; გრჟეგოჟ გილევსკი (ყველა პოლონეთი);
უეფას დელეგატი: სუჰილ დაოდი (ისრაელი)

# არ გვეშინია!

## ოლიმპის ტაქტიკა: სწრაფად და ფრთხილად



**დღეს** რუსთავის „ოლიმპს“ ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი ელის ყაზახურ „ასტანასთან“. რუსთაველები ყაზახებს გაკოხტავებულ „ფოლადზე“ დაუხვდებიან.

გუშინ კი „ოლიმპმა“ რუსთავში მატჩისწინა პრესკონფერენცია გამართა. ჟურნალისტებს კლუბის პრეზიდენტი ბადრი ქარქაშაძე, მთავარი მწვრთნელი ვარლამ კილასონია და გუნდის კაპიტანი მიხეილ მახვილაძე წარუდგნენ...

— სტადიონის განახლებაზე ზრუნვა იანვრიდან დავიწყეთ — თქვა *ბადრი ქარქაშაძემ* — გვინდოდა, ევრომატჩები რუსთავში გვეთამაშა და ეს მოვახერხეთ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ სტადიონი შეამოწმა და მონაცემები უეფას გაუგზავნა. შემდეგ ჩამოვიდა უეფას წარმომადგენელი და მან ორ ეტაპზე თამაშის ნება დაგვრთო. კარგი იქნებოდა, გუნდის მოსამზადებლად მეტი დრო გვქონოდა, თუმცა ამ მცირე დროში რამდენიმე ლეგიონერის დამატება მაინც მოვახერხეთ...

...„ასტანასთან“ მატჩზე 2 და 3-ლარიანი ბილეთები გაიყიდება. გადახურულ ტრიბუნაზე 3 ლარი ღირება. სულ 4 400 ბილეთი გაიყიდება...

*ვარლამ კილასონია:* მოგეხსენებათ, გუნდიდან წავიდნენ ონიანი, სეთურიძე, გოცირიძე, ძამსაშვილი, ბერუაშვილი, ჩხარტიშვილი. ისინი ჩვენთვის დიდი ძალა იყვნენ, მაგრამ შევეცდებით, მათი წასვლა არ დაგვეტყოს. ჯერჯერობით გაურკვეველია თორნიკე აფციაურის საქმე. შემატებით კი ცნობილი ფეხბურთელები შევიმატეთ — სილაგაძე, ორბელაძე, კოშკაძე, დვალი. სამი ლეგიონერიც გვყავს, აკუასაგა, ქივკოვიჩი და ბასვანგა. ჩემი აზრით, მათი მოსვლით გუნდი გაძლიერდა. ახლახან ერთი ლეგიონერიც შემოგვიერთდა, პორტუგალიელი თავდამსხმელი დანი ფერეირა როდრიგესი. ნორმალური ფეხბურთელი ჩანს, მაგრამ „ასტანასთან“ ვერ დაგვეხმარება. ენობრივი ბარიერის გამო ლეგიონერებთან ურთიერთობა კი გვიჭირს, თუმცა სათქმელს მაინც ვაგებინებთ...

...დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ „ასტანასთან“, სულ ცოტა, ორი ლეგიონერი სასტარტოში იქნება. ჩვენ სწრაფ გოლზე უნდა ვიფიქროთ და საკუთარ კარში არ გავუშვათ. „ოლიმპის“ პროგრამა-მინიმუმი პირველი ეტაპის დაძლევაა. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა „ასტანა“ გავიაროთ. მომდევნო მეტოქე ძალიან გამოცდილი ნორვეგიული „რუსენბორგია“, რომელსაც ისეთი გუნდების წინააღმდეგ უთამაშია, როგორებიც „რეალი“, „მილანი“ და ბევრი სხვაა, მაგრამ მაინც არ გვეშინია. „ოლიმპი“ ყველას შეებრძოლება...

...„ასტანაზე“ მხოლოდ ის ვიცით, რომ ორი კვირის წინ ახალი მთავარი მწვრთნელი დაუნიშნეს. ფეხბურთელებზეც მშრალი ინფორმაცია გვაქვს. სამწუხაროდ, მათი თამაშის ფირი ვერ მოვიპოვეთ, „ასტანას“ კი ვთხოვეთ, მაგრამ არ გამოგვიგზავნეს. ასე რომ, ყაზახეთის ჩემპიონს რუსთავში გავიცნობთ.

*მიხეილ მახვილაძე:* კლუბის ხელმძღვანელობამ ყველაფერი გააკეთა ძირითადი ბირთვის შესანარჩუნებლად. „ოლიმპი“ ძალიან მეგობრული გუნდია და ახალი ფეხბურთელებიც ნორმალურად შეეწყვნენ. ვეცდებით, ყაზახური ბარიერი დავძლიოთ...

*პრესკონფერენციის დასრულებისთანავე ვარლამ კილასონია და მიხეილ მახვილაძე თბილისში გამოემართნენ. გუნდს თამაშისწინა ვარჯიში „ოლიმპის“ აკადემიის მოედანზე ჰქონდა...*

*როგორც წესია, ვარჯიში მსუბუქი იყო. თავიდან კვადრატი გაახურეს, შემდეგ ნახევარ მოედანზე ორკარა ითამაშეს, ბოლოს კი სტანდარტულები დაამუშავეს. ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ ვლადან ჟივკოვიჩი საკმაოდ ნორმალური ფეხბურთელია — იცის დროული პასი და ეტყობა, ბურთთანაც ახლოსაა. უფრო კარგად ამ ფეხბურთელის შესაძლებლობები კი დღეს, „ასტანასთან“ მატჩში გამოჩნდება.*

*პორტუგალიელ ახალწვეულ დანი ფერეირა როდრიგესს კი, ეტყობა, ჯერ მოუმზადებელია, თუმც საქართველოში მოთამაშე ლეგიონერებთან შედარებით არცთუ ურიგო კარიერა უმაგრებს ზურგს. მას ინგლისურ „საუთჰემპტონში“, „ბრისტოლში“, „ბორნმუთში“, „უოლსოლში“, „იოვილში“, ბერძნულ „იონიკოსში“, პორტუგალიურ „ფეირენსეში“ და ავსტრალიურ „ნიუ ზილანდ ნაითსში“ უთამაშია.*

*ვარჯიშის შემდეგ „ოლიმპი“ ერთვნული ნაკრების ბაზაზე დაბრუნდა, სადაც მატჩისწინა შეკრებაზეა.*

**ნუკრი ლოლაძე**

**ყაზახური** „ასტანა“ საქართველოს გუშინ ნაშუადღევს ეწვია და სასტუმრო „ბატესტაში“ დაბინავდა. გუშინვე ყაზახებმა რუსთავში „ფოლადზე“ ივარჯიშეს.

არადა, წვიმიანმა ამინდმა ყაზახთა „ფოლადზე“ ვარჯიში კინაღამ ჩაშალა — მასპინძლები და სტუმრები დიდხანს აწარმოებდნენ მოლაპარაკებას, ბოლოს კი საქმეში უეფას დელეგატი ჩაერია და სტუმრებს ნება დართო.

ვარჯიში ხანმოკლე გამოდგა. ალექსანდრ ირხინმა „ოლიმპთან“ სათამაშოდ 23 ფეხბურთელი ჩამოიყვანა, მათ შორის, სამი ახალწვეული — დეან გეჩევი, არსენ ტლეხუგოვი და ვიქტორ ბულატოვი. „ასტანამ“ მათი საჩემპიონთალიგო განაცხადში შეყვანა მოასწრო, თუმც ირხინმა გვითხრა, ოპტიმალურ ფორმაში არ არიან და, შესაძლოა, შეცვლებზე ითამაშონ.

ვარჯიში ათწუთიანი მოთელვით დაიწყო, რასაც 25-წუთიანი ორკარა მიჰყვა, შემდეგ კი რამდენიმე ფეხბურთელმა კარში დარტყმაზე ივარჯიშა. ირხინმა ალბათ წვიმიანი ამინდი გაითვალისწინა [illegible] მატჩში სველი ბურთის და მეკარის შეცდომის იმედადაც იქნება.

ორკარას დროს კარგად გამოჩნდა, რომ ყაზახები ტექნიკურობით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიან — ამ მხრივ შედარებით უკეთ ემილ კენჟისარიევი გამოიყურებოდა, თუმც ყაზახმა კოლეგებმა გვითხრეს, ეს ძირითადში ვერ ხვდებაო.

შედარებით კარგად ცენტრალური მცველები, გუნდის კაპიტანი ალექსანდრ კუჩმა და მაქსიმ ჟალმაგომბეტოვი გამოიყურებოდნენ — მათი კოზირი სიმაღლეა და საჰაერო ორთაბრძოლებისას ძლიერები ჩანან.

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელსაც რუსთაველები უნდა უფრთხილდნენ, მურატ სუიმაგომბეტოვია. მართალია, სასწაულები არ ჩაუდენია, თუმც სხვებზე უკეთ ირჯებოდა, ყაზახეთში ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელად მიიჩნევენ და 23 წლის თავდამსხმელს, ბოლო მატჩებია, ეროვნულშიც იწვევენ.

ირხინმა საქართველოში შემდეგი ფეხბურთელები იახლა: *მოიჩენკო, კუზნეცოვი; კუმისბეკოვი, კუჩმა, ჟალმაგომბეტოვი, ჩიჩულინი, ალიევი, აკსიონოვი, შიშკინი, კუკეევი, აბდულიევი, კენჟისარიევი, სერგიენკო, სუჩკოვი, ბულატოვი, კოჩკაევი, ტლეხუგოვი, სიიმინი, ბაინბეტოვი, აზოვსკი, სუიმაგომბეტოვი, გეჩევი, სუხოვი.*

ასტანელთა თავკაცმა ჩვენთან სასაუბროდაც მოიცალა: „მგზავრობით დავიღალეთ. ფაქტია, მძიმე მატჩი იქნება, თუმცა, ვფიქრობ, საინტერესოც...

...ყაზახეთის ჩემპიონატში ახლა შესვენებაა, მაგრამ გუნდი შვებულებაში არ გაგვიშვია, ბოლო მატჩი 8 ივლისს გვქონდა, მეც სწორედ ამ დროს დავინიშნე მთავარ მწვრთნელად და მას შემდეგ „ოლიმპთან“ მატჩისთვის ვემზადებით. ის ფაქტი, რომ ჩვენთან ჩემპიონატია, საქართველოში კი შესვენებაა, უპირატესობას არავის ანიჭებს — თუ კი „ოლიმპს“ სათამაშო პრაქტიკა აკლია, ჩვენი გუნდი ცოტა გადაღლილია...

...„ოლიმპზე“ მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია მაქვს, მაგრამ ქართულ ფეხბურთს ვიცნობ, ძალიან ტექნიკურები და ძლიერები არიან ინდივიდუალურად. ფრით კმაყოფილნი ვიქნებით, ამისთვის კი ფრთხილად და ყურადღებით უნდა ვითამაშოთ...

...მატჩის მსვლელობაში გარკვეული კორექტივების შეტანა ამინდსაც შეუძლია და განსაკუთრებულად უნდა ვიფრთხილოთ — შესაძლოა, ერთმა შეცდომამ მძიმე დღეში ჩაგვაგდოს“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



დანი ფერეირა როდრიგესი, ვლადან ჟივკოვიჩი და ვარლამ კილასონია



ასტანელები „ფოლადზე“

# ამერმა წასვლამდე გოცირიძე მოაგვარა




**ხვალ** დილით უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე სათამაშოდ საქართველოს თასის მფლობელი „ამერი" ჩარტერული რეისით პოლონეთში გაემგზავრება. ბელხატუვთან უახლოესი აეროპორტი ლოძშია, საიდანაც ამერელები საბოლოო დანიშნულების ადგილამდე ავტობუსით ჩავლენ. ლოძიდან ბელხატუვამდე 50 კილომეტრია.

გუშინ კი გადაწყდა რევაზ გოცირიძის ამერელობა — ეს თავდამსხმელი ერთი თვეა, „ამერში" ვარჯიშობს, ჩეხური შეკრებაც გაიარა, მაგრამ მის ყოფილ კლუბთან, რუსულ „კამაზთან" სატრანსფერო დეტალების დაზუსტებას დრო დასჭირდა და საბოლოო შეთანხმება, როგორც ვთქვით, გუშინ მოხერხდა...

— „ამერში" თითქმის ყველას აქამდეც ვიცნობდი, ბევრთან ვმეგობრობდი კიდეც. გიორგი დეკანოსიძის შვილი სულაც ჩემი ნაცნობია — გვითხრა რევაზ გოცირიძემ — ესეც რომ არა, გუნდში ისეთი ატმოსფეროა, თავს უცხოდ ვერ იგრძნობ. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ერთი თვის მოსული კი არ ვარ, დიდი ხანია, აქ ვთამაშობ...

...ჩეხური შეკრებით ძალიან კმაყოფილი ვარ. ყველანაირი პირობა გვქონდა შექმნილი, რათა მხოლოდ ფეხბურთზე გვეფიქრა. უამრავ შეკრებაზე ვარ ნამყოფი და მერწმუნეთ, ეს ჩემი საუკეთესო შეკრება იყო, გნებავთ, სავარჯიშო პირობებით და გნებავთ, სპარინგების დონით...

...„ლიბერეცთან" მატჩის გარდა, ყველა სხვა შეხვედრაში ნაღდი საგოლე მომენტები მქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, შეკრება უგოლოდ დავასრულე. საოცრად არ გამიმართლა. მაგრამ არა უშავს, მთავარია, ოფიციალურ მატჩებში გავიტანო...

...ახლა პირველ რიგში უეფას თასზე ვფიქრობ. „ბელხატუვზე" რა ინფორმაციაც გვაქვს, ათლეტური გუნდია, მაღალი ფეხბურთელები ჰყავს, იგივე სტილში თამაშობენ, როგორც ჩეხური კლუბები. ჩეხების ძალა კი ვნახეთ, ისეთი გუნდები არ არიან, რომელთა დამარცხებაც არ შეგვეძლოა, თუმცა, რა თქმა უნდა, ძალიან მძიმე ბრძოლები გველის. ჩემი აზრით, მთავარია, თამაში დაწყებამდე არ წავაგო, ფსიქოლოგიურად არ გატყდე...

...სამწუხაროა, რომ სეზონის დაწყებამდე ორი თავდამსხმელი გამოგვაკლდა. რატი წინამძღვრიშვილი გუნდისთვის დიდი ძალაა, ბესიკ ჩიმაკაძემაც წინა სეზონში უმნიშვნელოვანესი გოლები გაიტანა. ვეცდებით, მათი არყოფნა გუნდს არ დაეტყოს, რატის და ბესოს კი სწრაფად გამოჯანმრთელებას ვუსურვებ...

...„ამერის" მიზნები ჩვენი შესაძლებლობებიდან და ხელმძღვანელობის ამბიციურობიდან გამომდინარეობს, ანუ ჩემპიონობისა და თასისთვის ვიბრძოლებთ. უეფას თასზე კი, რაც შეიძლება, მეტი ეტაპის გავლას შევეცდებით.

**კოტე კეკელია**

# ვადუცის ჩამოვიდა და დინამოსაც ჩამოუვიდა

**უეფას** თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამოს" მეტოქე ლიხტენშტაინის „ვადუცი" ზეგინდელი მატჩისთვის თბილისში ამ დილით ჩამოვიდა და სასტუმრო „ვარაზში" დაბინავდა.

როგორც შევიტყვეთ, „ვადუცის" ახალდანიშნულ მწვრთნელ ჰაინი ველერს „დინამოსთან" სათამაშოდ უძლიერესი შემადგენლობა წამოუყვანია, მათ შორის, რამდენიმე ახალწვეულიც, რომლებიც ველერის თქმით, გუნდს სამომავლოდ მნიშვნელოვნად წაადგებიან.

ლიხტენშტაინელები თბილისში თამაშამდე ორჯერ ივარჯიშებენ — დღეს „ვადუცი" დიღომში საფეხბურთო სკოლა „ოლიმპიკის" მოედანზე ივარჯიშებს, ხვალ კი „მიხეილ მესხზე". ხვალვე ამ სტადიონზე შეგირდებს დუშან უჰრინიც ავარჯიშებს. ხოლო იქამდე, 17.30 საათზე ის და გუნდის კაპიტანი დავით დიღმელაშვილი „მიხეილ მესხზე" პრესკონფერენციას გამართავენ.

„დინამოს" ბანაკიდან ჯერჯერობით მნიშვნელოვანი სიახლე არ ისმის. ერთი ისა, რომ გუშინ გუნდს შეუერთდა 28 წლის ჩეხი რომან დობეში. ის „დინამოს" ამასწინათ გერმანულ შეკრებაზეც ახლდა, მაგრამ გუნდს თბილისში აღარ გამოჰყოლია. სამაგიეროდ კი, ახლა ჩამოვიდა ვარჯიშსაც შეუდგა.

დობეში მარცხენა მცველად თამაშობს და გუნდს ამ ეტაპზე ყველაზე მეტად სწორედ ეს პოზიცია უნდა გაეძლიერებინა — თბილისელები ჩეხთან კონტრაქტს, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში გააფორმებენ და ამ ტრანსფერით ალბათ მარცხენა ფლანგის პრობლემასაც მეტ-ნაკლებად მოაგვარებენ.

დობეშის გარდა კი „დინამო" დღეს-ხვალ გაბონელ მეკარე დიდიე ოვონოს და თავდამსხმელ ჟორჟ აკირემს უკვე ოფიციალურად შეიმატებს. ცოტა ხანში გადაწყდება კამერუნელი რაიმონდ ვოუკოუეს საკითხიც. ის „დინამოსთან" ერთად ვარჯიშობს, მაგრამ უჰრინს არ გადაუწყვეტია, დაიტოვოს თუ არა.

**კობა ინასარიძე**



დიდიე ოვონო და რაიმონდ ვოუკოუე



# სტურუა და აკობია ბორჯომში

„**ბათუმისა**" არ იყოს, „ბორჯომსაც" ტრადიციად ექცა ფეხბურთელების თბილისის „დინამოდან" ნათხოვრობა.

ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ კურორტელები საახალსეზონოდ მეკარე ზვიად სტურუას და მცველ ლევან აკობიას შეიმატებენ.

ერთ დროს საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მეკარემ ზვიად სტურუამ ვერა და ვერ მოაწონა თავი დინამოელთა ჩეხ მწვრთნელ დუშან უჰრინს და წინა სეზონის მეორე წრეში საჩხერის „ჩიხურაში" იყო განათხოვრებული. ამჯერად სტურუა „ბორჯომის" კარში ჩადგება.

**ნუკრი ლოლაძე**

# რუსებმა ამისულაშვილში ლიონელ მესი დაინახეს
## დაიმახსოვრეთ ჩემი გვარი!




**аМЕССИлашвили** — ასე უწოდა რუსულმა გაზეთმა „ტვოი დენმა" ნალჩიკის „სპარტაკის" ქართველ მცველ ალექსანდრე ამისულაშვილს.

„ლიონელ მესის სტილში გატანილმა ფანტასტიკურმა გოლმა ყაბარდოელებს გამარჯვება მოუტანა" — წერს გაზეთი, რომელმაც ამისულაშვილის თამაში 7 ბალით შეაფასა და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა.

6,5 ქულა არგუნა ქართველ ფეხბურთელს გაზეთმა „სპორტ-ექსპრესმა", მაგრამ საუკეთესოდ არა გამარჯვების მომტანი ქართველი, არამედ ნალჩიკელთა ბრაზილიელი ლეგიონერი რიკარდუ ჟესუსი მიიჩნია, თუმც ტურის სიმბოლურ ნაკრებში ჩვენებურიც დააყენა.

ამისულაშვილს „სპორტ-ექსპრესისგან" ეს პატივი მეორედ ერგო.

„მინდა, დაგარწმუნოთ, რომ ასეთ დარტყმას კარგად ვფლობ. ხშირად ვვარჯიშობ დარტყმებზე. „სპარტაკში" სისტემატურად ვთამაშობ და ვატყობ, რომ აშკარად მოვუმატე. ამ გუნდში თავს კარგად ვგრძნობ. ერთია, ჩემი გვარის დამახსოვრება ცოტა უჭირთ, თუმც ამ გოლის შემდეგ ალბათ ისწავლიან" — ღიმილით განუცხადა „სპორტ-ექსპრესს" ამისულაშვილმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გელაშვილი ბელგიაში ბრუნდება
## არ ვიცი, სად ვითამაშებ...

**ნიკა გელაშვილი** ოთხი დღით ჩამოვიდა საქართველოში და დღეს ბელგიაში ბრუნდება, თუმცა ჯერ თავადაც არ იცის, რომელ გუნდში ჩაირიცხება.

21 წლის ფორვარდი „ბრიუგეში" იყო გასინჯვაზე, თითქოს იქაურებს თავი მოაწონა, ორი ტესტ-მატჩიც ათამაშეს, მაგრამ მომდევნო თამაშებში აღარ გამოჩენილა. შემდეგ კი ბელგიურ ვებგვერდებზე გაჩნდა ინფორმაცია, გელაშვილი „ლურჯ არმიას" ვერ შეეწყო და სახლში მიემგზავრებაო.

„ჯერ მე თვითონაც არაფერი ვიცი. „ბრიუგეს" ხელმძღვანელობა ჩემს მენეჯერს ელაპარაკა, პირადად ჩემთვის კი არაფერი უთქვამთ. ამდენად, ვერ გეტყვით, რატომ იუარეს ჩემი აყვანა. ხვალ ჩავალ ბელგიაში, მაგრამ არ ვიცი, სად ვითამაშებ" — გვითხრა გუშინ გელაშვილმა.

იყო ლაპარაკი ნიკას „ბეერსხოტში" ან „ვარეგემში" გადასვლაზე, თუმც საქმე წინ აღარ წასულა...

**ილია ნანობაშვილი**

# სალიცენზიო ცვლილებები

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის გადაწყვეტილებით, სფფ-ის უმაღლესი ხელმძღვანელობიდან საკლუბო ლიცენზირებაზე პასუხისმგებელ პირად დაინიშნა ფედერაციის გენერალური მდივანი უჩა უგულავა, ხოლო სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების მენეჯერად, ლალი ლობჟანიძის ნაცვლად, დაინიშნა საკლუბო ლიცენზირების ურთიერთობების მენეჯერი ბაქარ ჟორდანია.

კოპა ამერიკის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## კოპა ამერიკა 2007
ვენესუელა. 26 ივნისი–15 ივლისი

# კოპა ბრაზილიას, კომა არგენტინას!



AFP



AFP

## გაიხარეთ, მშრომელებო! გაბრუებულმა ყველა გააბრუა

**კარლოს** კაეტანო ბლეიდორნ ვერის ბიძას ეგონა, რომ მისი ძმისშვილი ტანს ვერ აიყრიდა და სულ პატარა დარჩებოდა. ამიტომაც შეარქვა მეტსახელად „დოპი“ (გაბრუებული) — შვიდი ჯუჯადან ერთ-ერთის სახელი — რაც პორტუგალიურად „დუნგას“ ნიშნავს.

კარლოს დუნგა გაიზარდა, თან ისე, რომ მსოფლიოს ჩემპიონიც (1994) გახდა, ნაკრების კაპიტანიც იყო და გუშინწინ, როგორც მწვრთნელმა, პირველი ჯილდოც მოიგო. 43 წლის კაცს ნაკრებში დანიშვნამდე მწვრთნელად არსად უმუშავია და სრულიად ბრაზილიას გაუკვირდა, როცა მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის შემდეგ გამოუცდელ დუნგას ჩააბარეს გუნდი. მას კი თერთმეტი თვე დასჭირდა ტიტულის მოსაპოვებლად. სხვათა შორის, იგი ინგლისური „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ მეწილეა და დირექტორატში ხმის უფლებით სარგებლობს.

ჯგუფის პირველ მატჩში მექსიკასთან წაგების (0:2) შემდეგ მთელმა ბრაზილიამ ხმა აიმაღლა და მწვრთნელს დააცხრა უშნო ფეხბურთის თამაშის გამო. დუნგა კრიტიკოსებს მშვიდად იგერიებდა და არგენტინის დამარცხებით ოპონენტებს მოაკეტინა.

„ბრაზილიამ მოიგო და არავისთან არაფერი ასახსნელი არ მაქვს — თქვა მწვრთნელმა — გუნდმა გულშემატკივრებს შელახული ღირსება დაუბრუნა. მშრომელები დილით გადიან სახლიდან, გვიან ღამით ბრუნდებიან და ერთადერთი სასიხარულო მათთვის ისაა, რომ ნაკრებმა გაიმარჯვა, ჩვენ აქ ერთი მიზნით ჩამოვედით — უნდა დაგვემტკიცებინა, რომ შარშან საფრანგეთთან მარცხი კანონზომიერი არ იყო. ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით. მათ თავი არ დაზოგეს, ბევრ მათგანს ფინანსურად არ ულხინს, მაგრამ პატრიოტები არიან. გულიანად იშრომეს და ჯილდო დაიმსახურეს“.

რაც შეეხება მომავალში შემადგენლობის ცვლილებას, დუნგამ კაკას და რონალდინიოს გასაგონად განაცხადა: „ვინც ტურნირზე ჩამოვიდა, მას უპირატესობა ექნება. ფეხბურთელებს დამსახურებას და გარჯას ვერ დავუკარგავ. თუ მოთამაშე დავალებას კარგად ასრულებს, რატომ უნდა ვთქვა მასზე უარი?!“

დავალება კი ბრაზილიელებმა არგენტინასთან ფრიადზე შეასრულეს. ასე კარგად მანამდე არც ერთ მატჩში არ უთამაშიათ. ალფიო ბასილეს გუნდმა პირიქით — ფინალამდე დაფრინავდნენ, მთავარ შეხვედრაში კი ხუან რომან რიკელმეს თამადობით, მოჯადოებული, კუნთმაგარ ბრაზილიელებში დაიკარგნენ.

კარლოს დუნგას შეგირდები 37-ჯერ დაჯარიმდნენ და სწორედ ამით შეძლეს არგენტინული ტექნიკის ჩახშობა და მესის, ტევესის თუ რიკელმეს უპირატესობა გააქრეს.

თაობა, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, შეიძლება ისე წავიდეს, რომ სანაკრებო დონეზე ვერაფერი მოიგოს. აბონდანსიერი და აიალა 34 წლისანი არიან. ვერონი და კრესპო 32-ის, ჰაინცე და რიკელმე 29-ის, ძანეტი კი 33-ის. თუ ამათგან რომელიმე კიდევ დარჩება ნაკრებში, ერთი შანსი ექნებათ — მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე, მაგრამ საეჭვოა, რომ იმ დროისთვის დაბერებულები ეროვნულ გუნდში მოხვდნენ.

შარშანდელი მუნდიალის შემდეგ ნაკრებიდან წასული ხუან რომან რიკელმე დიდი იმედით დააბრუნა ალფიო ბასილემ და ნახევარმცველმა ტურნირზე ხუთი გოლიც გაიტანა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა (ისევე, როგორც შარშან, გერმანიასთან მეოთხედფინალში), გადამწყვეტ მატჩში ფეხები მოეკვეთა. მხოლოდ ორჯერ, თამაშის დასაწყისში გაიელვა, როცა ბაპტისტას გოლის შემდეგ ბურთი ძელს გაარტყა, მერე კი მეკარემ აუღო.

ბაპტისტამ, როგორც მის მეტსახელს (მხეცი) შეეფერება, მხეცური გოლი შეაგდო. კონტრშეტევისას საჯარიმოში მიიღო ბურთი, აიალასთან პირისპირ დარჩა და კარისკენაც გვერდულად იდგა, მაგრამ ისეთი ძალით დაარტყა, რომ ბურთი უცბად გაქრა და კარში გაჩნდა. აბონდანსიერი მეკარეა და არა ჯადოქარი, ასეთი დარტყმული რომ აეღო.

34-ე წუთზე დაშავდა ელანო, რომელიც დისკვალიფიცირებული ჟილბერტო სილვას ნაცვლად იყო შემადგენლობაში. ელანოს მაგივრად დანიელ ალვეში შევიდა და ექვს წუთში მის ჩაწოდებულს გოლი მოჰყვა. მარჯვენა ფლანგიდან ჩააბზრიალა ბურთი და რობერტო აიალამაც, ვინც 115-ე მატჩს ატარებდა, საკუთარ კარში ჩაჭრა.



AFP

0:2-ის შემოტრიალება უკაკო და ურონალდინიო ბრაზილიასთანაც კი ძალიან ძნელია. გულგატეხილი არგენტინისთვის კი, მით უმეტეს, თუ ერთი აურიეს, ველარააწყობენ. ასე იყო მეორე ტაიმში, „თეთრ-ლურჯები“ თითქოს ცდილობდნენ, მაგრამ მთავარი კაცი, რიკელმე, ვერ ათამაშდა, ტევესი და მესი კი ზორბა მცველებს ეხეთქებოდნენ.

ბასილემ, რომელიც ნამატჩევს პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა, ჯერ პაბლო აიმარი შეუშვა, მერე ლუჩო გონსალესი, მაგრამ მესამე გოლი მიიღო — დანიელ ალვეში ვაგნერ ლავის პასით საჯარიმოში მარჯვნიდან შევიდა და ბურთი მეკარისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში შეასრიალა.

„ალვეში „სევილიაშიც“ მარჯვენაფლანგელია. სწრაფია და შორიდან გატანაც ეხერხება. შევამჩნიე, რომ არგენტინას მარცხენა ფლანგი მოისუსტებდა, ამიტომაც შევუშვი ელანოს ნაცვლად“ — თქვა დუნგამ, რომელმაც ალფიო ბასილეს შარშანდელი სექტემბერი გაუმეორა. მაშინ ამხანაგურად შეხვდნენ ლონდონში და იქაც 3:0 გაიმარჯვა.

ბრაზილიამ ზედიზედ მესამედ მოუგო არგენტინას სამბურთიანი სხვაობით — 2005 წელს კონფედერაციათა თასის ფინალში 4:1 დაამარცხა.

უკვე 14 წელია, არგენტინას არაფერი მოუგია. 1991-ის და 1993-ის „კოპა ამერიკაზე“ ალფიო ბასილეს თავკაცობით იმარჯვა და ბასილესთვის ეს მეცხრამეტე „კოპური“ მატჩი და პირველი მარცხი იყო.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ასე ულხენს ხოლმე ცოლსგამშვრებული ტიერი ანრი



კლეირი, იგივე ნიკოლ მერი

# ნადი, შორს ნადი... თურმე რატომ გადავიდა ტიერი ანრი ბარსელონაში

**ᲐᲬ ᲣᲙᲕᲔ** „ბარსელონას" ვარსკვლავმა ტიერი ანრიმ გული მეგობრებს გადაუშალა — ლონდონიდან ესპანეთში იმიტომ მივდივარ, ცოლის ჩათვლით ინგლისთან დაკავშირებული ყველაფერი რომ დავივიწყოო.

დიახ, როგორც ირკვევა, 29 წლის ანრი და მისი 27 წლის მეუღლე, კროიდონელი (ლონდონს მიბმული ქალაქია) კლეირი (მოდელობის ფსევდონიმი ნიკოლ მერი) თავდამსხმელის „ბარსელონაში" გადასვლიდან რამდენიმე დღეში გასცილდნენ ერთმანეთს.

ცნობისთვის: ტიერისა და კლეირს ორი წლის ქალიშვილი, ტეა ჰყავთ.

როგორც „სანისთვის" ანრის მეგობრებისგან გახდა ცნობილი, გულგატეხილი ვარსკვლავი ახლახან, შვებულების დღეებში პარიზს ჩასულა და თავგადაკლულ ორგიებში მიუღია მონაწილეობა. კაზინოდან არ გამოდიოდაო. ყვითელ ჟურნალისტებს რეპერ 50 Cent-ის კონცერტზე ორ ქალთან ერთადაც შეუმჩნევიათ და გადაუღიათ.

პაპარაცები „სასოწარკვეთილი დიასახლისების" ვარსკვლავ ევა ლონგორიასა და ფრანგი კალათბურთელის ტონი პარკერის ქორწილზე გაფაციცებით აკვირდებოდნენ ანრის არათითს, მაგრამ მასზე საქორწინო ბეჭდის კვალიც ვერ დაინახეს.

და აი, ამდენი დაკვირვებისა და წვალების შემდეგ, ორშაბათ საღამოს ანრის ადვოკატმა ოფიციალური განცხადება გაავრცელა:

„ტიერის ოჯახის დანგრევამ საშინლად დასწყვიტა გული. ამის მიუხედავად, ის აპირებს, ცხოვრება, რაც შეიძლება მაღალ ნოტზე განაგრძოს და შეძლებისდაგვარად, საუკეთესო ურთიერთობა შეინარჩუნოს კლეირთან, რაც მის უსაყვარლეს ქალიშვილ ტეასთვის არის აუცილებელი" — წერია განცხადებაში.

ბუნებრივია, განცხადებაში ისიც აღინიშნა, რომ ვარსკვლავის „ბარსელონაში" გადასვლა ლონდონიდან, ანუ ძველი ცხოვრებისგან გაქცევის სურვილით კი არ არის განპირობებული, არამედ ამ ტრანსფერს წმინდა საფეხბურთო მიზეზები აქვს.

და კიდევ ერთი ძალიან ყურადსაღები ფაქტი: ტექსტში არ არის ნახსენები ის, რაც ჩვეულებრივ ვარსკვლავები ასეთ განცხადებებში წერენ ხოლმე — ანრის წარმომადგენელს ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია, რომ განქორწინება ვილაც მესამის გამო არ მომხდარა. გასაგებია? ანუ, ჩვეულებრივ, ვარსკვლავები იფიცებიან, ერთმანეთს თვითონ ვეყრებით და არა იმიტომ, რომ მე ან მას ვილაც გამოგვიჩნდაო. ანრი ასეთს არაფერს წერს.

როგორც ანრის ოჯახთან დაახლოებული ადამიანები ყვებიან, ტიერიმ მეუღლესთან ბოლო პერიოდში რამდენჯერმე იჩხუბა, რის მერეც წავიდა და შინ აღარ დაბრუნებულა.

„მე „არსენალიდან" წასვლა არ მინდა, „არსენალი" ჩემი უსაყვარლესი კლუბია და მისი სახელით თამაში ჩემთვის საოცარი სიამოვნებაა, მაგრამ, სამწუხაროდ, გარშემო ბევრი რამ შეიცვალა და დღეს, ყველაზე მეტად მინდა, ყველაფერ ინგლისურს გავცილდე, აბსოლუტურად ყველაფერს, ყველაფერს ჩემი ცოლის ჩათვლით. სამწუხაროა, მაგრამ ასეა, ადამიანმა უნდა იცოდე, როდის უნდა წახვიდე სხვაგან" — უთქვამს ანრის.

ვარსკვლავის კიდევ ერთი მეგობარი, მისი პარიზული ხუთი დღის შესახებ ასე ამბობს:

„ტიერი აშკარად სხვანაირად იქცეოდა. ეს არ იყო დაოჯახებული ადამიანის საქციელი. თმასაც კი აღარ იხოტრავდა. ჩვენ ყველანი ვატყობდით, რომ მის თავს რაღაც ხდებოდა.

ნიკოლის ხსენებაც არ იყო. ის არც ევასა და ტონის ქორწილზე მისულა, არადა, ყველამ კარგად ვიცით, რომ ის მათი დიდი მეგობარია. ტიერიმ ინგლისიდან წასვლის პირადი მიზეზების შესახებ მერეღა გვითხრა, როდესაც გვარიანად დალამდა. ჩვენ ყველანი ძალიან შევძრწუნდით, რადგან ტიერი და ნიკოლი საუცხოო წყვილი გახლდათ".

ტიერისა და კლეირის სხვა მეგობრები კი განქორწინების მიზეზებს ცოლ-ქმრის, უფრო სწორედ კი, ქმრის ხასიათში ეძებენ:

„ტიერი ძალიან ჯიუტი და საკუთარი აზრის სიმართლეში მეტისმეტად დარწმუნებული ადამიანია. არ გამოვრიცხავთ, რომ მან კლეირის ცხოვრება აუტანელი გახადა. ის, შესაძლოა, გამოიქცა, მაგრამ არც კლეირი გამოდევნებია, შენი ჭირიმე, დამიბრუნდიო. მათი განქორწინება გარდაუვალი იყო. ცოდო მხოლოდ ბავშვია, რომელსაც დედაც უნდა და მამაც".

**ᲑᲐᲙᲣᲜᲐ ᲙᲔᲓᲘᲐ**




# პალასიო, ანუ ანრი

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ** „არსენალი" საკუთარი სატრანსფერო რეკორდის დამხობას არგენტინელ როდრიგო პალასიოში 15 მილიონი გირვანქის გადახდით აპირებს.

როგორც ინგლისური და არგენტინული გაზეთები იუწყებიან, პალასიოს კლუბმა „ბოკა ხუნიორსმა" და „მეთოფეებმა" ერთმანეთში ყველაფერი მოაგვარეს და ფეხბურთელიც ბრიტანეთის დედაქალაქის გზას დაადგა, სადაც დღეს სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროს.

საინტერესოა, რომ პალასიოს წილად დიდი პატივი ხვდება — ტიერი ანრის „ბარსელონაში" 16 მილიონ გირვანქად გადასვლის გამო გათავისუფლებული 14-ნომრიანი მაისურა უნდა მოირგოს. სხვათა შორის, ის „ბოკაშიც" 14 ნომერი იყო და ამბობენ, რომ ეს სიმბოლური დამთხვევა შინაარსსაც ასახავს: არგენტინელმა პრემიერლიგაში ფრანგის საქმე უნდა გააკეთოს.

და კიდევ, დახეთ ბედის ირონიას, პალასიოს „ბარსელონა" ყიდულობდა და მასში 14,9 მილიონს იხდიდა, მაგრამ თითქმის გამოსული საქმე ჩაიშალა, რადგან კატალონიელებმა შეიტყვეს, რომ ანრი მათთან გადასვლაზე თანახმა იყო.

„ბოკა ხუნიორსის" პრეზიდენტი მაურისიო მაკრი: „ტრანსფერი, მე თუ მკითხავთ, გაცილებით დიდ თანხად უნდა განხორციელებულიყო, რადგან პალასიოს დონის თავდამსხმელი არგენტინაში არ არის".

საინტერესოა, რომ „არსენალის" გადახდილი 15 მილიონიდან რაღაც წილს, ფეხბურთელის ყოფილი გუნდები, „ურაკანი" და „ბანფილდიც" მიიღებენ.

პალასიომ, რომელიც ახალდამთავრებულ „კოპა ამერიკაზე" გამოდიოდა, „ბოკა ხუნიორსის" შემადგენლობაში 79 მატჩი ჩაატარა და 39 გოლი შეაგდო.

**ᲑᲐᲙᲣᲜᲐ ᲙᲔᲓᲘᲐ**

# კარლოსი და უი-ნაიტედი...

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ** „მანჩესტერი" აღიარებს, რომ არგენტინელი კარლოს ტევესის ყიდვა ნავარაუდევზე გაცილებით ძნელი გამოდგა.

მოგეხსენებათ, მანჩესტერელები ტევესთან ყოველგვარი ფორმალობების მოგვარებას ამ კვირაში აპირებდნენ. ისინი აცხადებდნენ, რომ ოთხშაბათს (თუმცა თავიდან სამშაბათი იყო ნათქვამი) არგენტინელი მანჩესტერში ჩაფრინდებოდა, სამედიცინო შემოწმებას გაივლიდა და მერე ხელშეკრულებას ხელსაც მოაწერდა, მაგრამ კლუბის აღმასრულებელი შეფი დევიდ გილი პრემიერლიგის უფროსებისგან მკაცრ წინააღმდეგობას წააწყდა. კრძოდ, პრემიერლიგა კატეგორიულად ითხოვს, რომ მოლაპარაკება გაიმართოს და ტრანსფერი გაიჩარხოს არა „მანჩესტერ იუნაიტედისა" და კია ჯურაბჩიანის ორგანიზაციის, არამედ, „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „ვესტ ჰემის" მოლაპარაკებების შედეგად.

შეგახსენებთ, რომ კია ჯურაბჩიანი ის ბრაზილიელი ბიზნესმენია, რომელიც ტევესზე უფლებებს ფლობს, „ვესტ ჰემში" კი ტევესი გასულ სეზონში გამოდიოდა.




გილი: „ჩვენ ამ საკითხზე ვმუშაობთ. მე თუ მკითხავთ, საკითხი გვარიანად რთულია. ფაქტობრივად, საქმეში ხუთი მხარეა ჩართული: საკუთრივ ფეხბურთელი, „ვესტ ჰემი", ჯურაბჩიანის კომპანია, პრემიერლიგა და „მანჩესტერ იუნაიტედი". ჩვენ ვცდილობთ, საქმე დანარჩენ ოთხთან მოვაგვაროთ. პროცესი მიმდინარეობს. ამ კვირის რომელიმე დღეს ტევესი მანჩესტერში სამედიცინო შემოწმებას გაივლის, რასაც აუცილებლად მოჰყვება ფეხბურთელის „იუნაიტედში" გადმოსვლა, თუმც ბიუროკრატული სამუშაო ჯერ საკმაოდ გველის".

**ᲑᲐᲙᲣᲜᲐ ᲙᲔᲓᲘᲐ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბარსელონა მაშინ მოიგებს, როცა რეალს დაივიწყებს

## ხავი ახლითაც კმაყოფილია და ძველითაც

„ბარსელონამ“ 2006-07 წლების სეზონი უფერულად ჩაამთავრა, თუმცა კატალონიაში იმედი აქვთ, რომ კლუბში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ ფრანკ რაიკარდის შეგირდები ახალი სეზონიდან ისევ ძველებურად ათამაშდებიან.

„ელ მუნდო დეპორტივო“ „ბარსას“ ნახევარმცველ ხავი ერნანდესს ესაუბრა...



**— ერთსეზონიან უტიტულო პერიოდს „ბარსელონამ“ ოთხი ახალი ფეხბურთელის მოყვანით უპასუხა. ტიერი ანრით დავიწყოთ — ფრანგის ტრანსფერის თაობაზე რას გვეტყვით?**

— მხოლოდ კარგი შემიძლია ვთქვა. ანრი ექსტრაორდინალური ვარსკვლავია. სატრანსფერო ბაზარზე მისი დონის მოთამაშე ძალიან ცოტაა. „ბარსაში“ ანრის ყოფნასაც პრივილეგიად ვთვლი. ახლა მხოლოდ ის დარჩა, რომ ჩვენთანაც ისევე გამოიჩინოს თავი, როგორც ამას სხვა კლუბებში აკეთებდა. ტიერის ბოლოდროინდელი დონე ძალიან შთამბეჭდავი იყო. „ბარსაშიც“, „კამპ ნოუს“ სივრციდან და ამ ფეხბურთელის სისწრაფიდან, ძალისა თუ ტალანტიდან გამომდინარე, ვარსკვლავად უნდა დარჩეს. აქ ფრანგი ბრწყინვალედ ითამაშებს.

**— თუ არის შესაძლებელი, რომ ტიერი ანრიმ „ბარსას“ სასტარტო თერთმეტეულში მესის, ეტოოსა და რონალდინიოსთან ერთად ითამაშოს?**

— არ ვიცი, ალბათ ფრანკ რაიკარდს სქემის შეცვლა მოუწევს. ანრის ტრანსფერი კი თქვენს მიერ ჩამოთვლილ ფეხბურთელთა შორის კონკურენციისთვის არის კარგი. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გუნდში მოქმედ სისტემას თუ გავითვალისწინებთ, სამ პოზიციაზე ოთხი ფეხბურთელი მოდის... სწორედ ამიტომაა კარგი კონკურენცია, მოთამაშეები უფრო მეტი მოტივაციით იბრძოლებენ გუნდში ადგილის მოსაპოვებლად. „ბარსელონასაც“ მთლიანობაში ეს სასიკეთოდ წაადგება. დარწმუნებული ვარ, თითოეული ფეხბურთელი უმაღლეს დონეზე ითამაშებს.

**— გასაგებია, თუმცა გასულ სეზონში გუნდს ყველაზე მეტად სწორედ მოტივაცია აკლდა. ანრი ერთი წლის დაგვიანებით მოვიდა „კამპ ნოუზე“?**

— ჯანსაღი კონკურენცია და მოტივაცია „ბარსას“ არც წინა სეზონში აკლდა, თუმცა შეტევაში სხვანაირად იყო საქმე... მაგრამ ეს მწვრთნელზეა დამოკიდებული. რონალდინიოსნაირი ფეხბურთელის სათადარიგოთა სკამისკენ გაგზავნა ძალიან ძნელია. ბრაზილიელი მსოფლიო დონის ვარსკვლავია და, მე თუ მკითხავთ, სულ უნდა ითამაშოს. გასულ სეზონში გადაჭარბებულმა თავდაჯერებულობამ გვაზარალა, ყველანი ვფიქრობდით, გადასარევი გუნდი გვყავს, ლა ლიგას სულ ადვილად მოვიგებთო. სამწუხაროდ, ასე არ გამოვიდა. ჩვენ დავრწმუნდით, რომ თუ მეტოქესავით არ დარბიხარ, თუ მასავით მატჩის მოგების გიჟური წყურვილით არ ხარ ანთებული, მოწინააღმდეგე გადაგივლის, რადგანაც დღეს ყველა დარბის, ყველა მუშაობს, ყველა იბრძვის და, რაც დრო გადის, მოგება სულ უფრო ძნელი ხდება. მაგალითისთვის, „სევილია“ ავიღოთ — გუნდში არ არიან დიდი ფეხბურთელები, მაგრამ შემადგენლობა უკიდურესად შრომისმოყვარეა, ყველა ერთი მიზნისთვის, გამარჯვებისთვის იბრძვის. უნდა ვაღიაროთ, რომ გასულ სეზონში „ბარსელონა“ მოდუნდა, თუმცა ეს უკვე ისტორიაა, რომლის გამეორების სურვილი არავის აქვს. ეს გაკვეთილი სამომავლოდ უნდა გამოგვადგეს. ხშირად საკუთარ შეცდომებზეც ვსწავლობთ ხოლმე.

**— თუ თავდასხმაში ოთხი კაცი ითამაშებს, მოედნის ცენტრში ადგილი მხოლოდ ორისთვის დარჩება...**

— რომელი სქემაც არ უნდა ავირჩიოთ, 4-2-3-1, 4-3-3 თუ 4-4-2, კონკურენცია ნახევარდაცვაშიც იარსებებს. ვარიანტები მრავლადაა და ახლა ყველა იმაზე ვფიქრობთ, ლა ლიგის პირველ ტურში ძირითადში ვინ იქნება. თუმცა პირველი ტურის შემდეგ სხვა ბევრი მატჩიც უნდა ჩავატაროთ და უამრავი რამ შეიძლება მოხდეს. გაიხსენეთ, გასულ სეზონში ეტოოსა და მესის ტრავმებმა რამდენი არეულობა მოგვიტანა. დღეს კამათი იმის შესახებ მიდის, ოთხივენი ერთად ითამაშებენ თუ არა, მაგრამ ფეხბურთი ფეხბურთია და ამქვეყნად ტრავმებიც არსებობს და სანქციებიც. კალენდარიც დაძაბული გვაქვს. ფრანკ რაიკარდიც ისევ როტაციის სისტემას დაუბრუნდება.

**— გაამართლა თუ არა ამ როტაციებმა, ფრიად ბუნდოვანია. ძნელია, გუნდში ყველა კმაყოფილი დარჩეს...**

— ჩვენთვის, ფეხბურთელებისთვის, ამას არავითარი ზიანი არ მოუტანია. ვინც ყველაზე მეტი ილაპარაკა, პრესა იყო — მარჩიელობდნენ, დღეს ეს ითამაშებს თუ სხვაო, მაგრამ როტაციებს „ვალენსიაშიც“ მიმართავენ, „სევილიაშიც“ და ზედმეტად ამ თემას იქ არავინ აქცევს ყურადღებას. ვთვლი, რომ რაიკარდი სწორად მუშაობს და ფეხბურთელთა ჩანაცვლებაც გუნდისთვის სასიკეთო ნაბიჯია.

**— ჰო, მაგრამ „ბარსას“ გასახდელში პატივმოყვარეობასთან დაკავშირებით სულ პრობლემები იყო, ხშირად ფეხბურთელები პირადულს გუნდურზე წინ აყენებდნენ...**

— ხალხმა თავისი პირადი პრობლემები უნდა დაივიწყოს. ფეხბურთი გუნდური სახეობაა და როცა გუნდში თამაშობ, საკუთარ თავზე მეტად თანაგუნდელებზე უნდა იფიქრო. პირადი პატივმოყვარეობა კი ბოლოსკენ შემოვიტოვოთ, რადგანაც მსოფლიოში არ არსებობს კლუბი, რომლის ფეხბურთელები მარტო პირად წარმატებაზე ფიქრობენ და ამავდროულად თამაშებს იგებენ... ასე ვერანაირ ჯილდოს ვერ მოვიპოვებთ.

**— რიგით მეორე ტრანსფერი — იაია ტურე. „კამპ ნოუზე“ მისმა მოსვლამ შეიძლება ხავის ძირითადში ვერმოხვედრის საფრთხე შეუქმნას...**

— ამბობენ, რომ ტურე უკან დაწეულ ნახევარმცველად ითამაშებს და ძირითადი ყურადღება დაცვაზე ექნება. სიმართლე რომ გითხრათ, მისი მონაწილეობით ბევრი მატჩი არ მინახავს, თუმცა მითხრეს, ფიზიკურად ძალიან ძლიერია და კარგ ტექნიკასაც ფლობსო. სამუელ ეტოომ მასზე ბევრი კარგი რამ მითხრა. იმედი მაქვს, ადაპტაციას სწრაფად გაივლის. „ბარსაში“ თამაში ხომ ადვილი არ არის, მაგრამ შეუძლია, გუნდის სტილს უპრობლემოდაც შეეჩვიოს. იაია ტურე გამოცდილი ფეხბურთელია, საფრანგეთის, საბერძნეთისა და უკრაინის ჩემპიონატებში თამაშობდა.

**— კოტდივუარელი ახლახან მოვიდა გუნდში და უკვე ბევრი აღნიშნავს, რომ მან ძირითადში უნდა ითამაშოს...**

— ყოველ წელს ასე ხდება. გვყავს შესანიშნავი ანდრეს ინიესტა, დეკუ და მეც აქვე ვარ, ასევე ტურეც და ედმილსონიც... კონკურენცია ყოველ წელს არის და ეს სასიკეთოა ფეხბურთელთათვის — ისინი უფრო ბეჯითად ივარჯიშებენ, რათა ძირითადში ადგილი დაიმკვიდრონ. თავისი შანსი ყველას მიეცემა. უნდა იცოდე, კონკურენციის პირობებში როგორ უნდა ითამაშო და ამავდროულად, თანაგუნდელთათვის მტრად არ იქცე... ყოველი სეზონის დასაწყისში ერთი და იგივე მეორდება. ასეთი რამ მოხდა მაშინ, როდესაც გუნდში ვან ბომელი მოვიდა. თავიდან შეიძლება, ფეხბურთელი ძირითადში ვერ ხვდებოდეს, მაგრამ შემდეგ მწვრთნელმა ყველაზე მეტჯერ სწორედ მას მისცეს თამაშის შესაძლებლობა. მთავარია, ივარჯიშო, რათა როდესაც მწვრთნელს დასჭირდები, ფორმაში იყო.

**— მესამე ტრანსფერი — ერიკ აბიდალი. მის წინააღმდეგ სანაკრებო დონეზე გითამაშიათ...**

— გერმანულ მუნდიალზე გავიცანი, სადაც ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ შესანიშნავად ითამაშა. აბიდალი ძლიერი ფეხბურთელია, შეუძლია, ცენტრალური მცველის პოზიციაზეც ითამაშოს, მაგრამ „ბარსადან“ ჯოვანი ვან ბრონკჰორსტის წასვლის შემდეგ მგონი, უფრო მარცხენა ფლანგს ანდობენ.

**— ჯერჯერობით ბოლო კი საუცხოო ცენტრალური მცველი გაბი მილიტო მოვიდა...**

— მილიტოც კარგი შენაძენია. რამდენიმე წლის წინ, როცა იგი, ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, „ინდეპენდიენტეს“ კაპიტანი იყო, მასზე კარლეს პუიოლს ველაპარაკე. გაბი ძლიერია, როგორც პიროვნება. თავად განსაჯეთ, „სარაგოსაში“ მისვლიდან მცირე ხნის შემდეგ იგი უკვე გუნდის კაპიტანი გახდა. კარგად თამაშობს და საჭირო დროს აგრესიულიცაა — ბრძოლას არ ერიდება. ასევე კარგად შეუძლია თავით თამაშიც. გაბრიელ მილიტოს მოსვლას მივესალმები და საერთოდ, როგორც „ბარსელონას“ გულშემატკივარი, ტრანსფერებით კმაყოფილი ვარ.

**— თქვენმა გუნდმა, ბოლოს და ბოლოს, კარლეს პუიოლისთვის იდეალური საფეხბურთო მეწყვილე იპოვა?**

— წლეულს ტურამმაც შესანიშნავად ითამაშა. რაფაელ მარკესიც, როდესაც ტრავმა არ აწუხებს, თავის დიდფეხბურთელობას ამტკიცებს. ოთხი ცენტრალური მცველი გვყავს და ისინი მართლა ძლიერები არიან. თან, იქნებ პუიოლს ცოტა დასვენების საშუალება მიეცეს. „პუის“ გასულ სეზონში პრაქტიკულად ამოსუნთქვის საშუალება არ ჰქონდა და მძიმე ტრავმაც აიკიდა. მთელი წელი არ გაჩერებულა მაშინ, როცა ურთულესი მატჩების ჩატარება მოგვიხდა.

**— ახლა იმათზეც ვისაუბროთ, ვინც გუნდი დატოვა. ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი...**

— ჯიომ თავი კარგი ფეხბურთელობით და ადამიანობით დაგვამახსოვრა. თავის სამუშაოს ხუთიანზე აკეთებდა, პრობლემებზე არასდროს წუწუნებდა და პლუს, გადასარევი იუმორის პატრონიცაა, რასაც „ბარსელონაში“ ძალიან ვაფასებთ. იგი ნამდვილად დაგვაკლდება.

**— და თქვენი დიდი მეგობარი ხავიერ სავიოლა...**

— ჰო, ის „რეალში“ წავიდა. „ბაჭია“ მართლაც ჩემი უახლოესი მეგობარია და ერთი მხრივ, დიდ გუნდში მისი გადასვლა გამიხარდა, მაგრამ, როგორც ბარსელონელს, მეწყინა, ხავიერის დანახვა მეტოქე ბანაკში რომ მომიწევს. თუმცა სავიოლა გრანდში თამაშს იმსახურებდა, რასაც „რეალში“ ბევრი გოლის გატანით დაამტკიცებს.

**— „ბარსელონას“ გულშემატკივრებს „ბაჭია“ ძალიან უყვარდათ...**

— მას სხვა გზა აღარ ჰქონდა. კონტრაქტს აღარ უხანგრძლივებდნენ, „რეალმა“ კი სწორედ ამ დროს მიმართა წინადადებით... ასეთია ფეხბურთი. ქომაგებს მართლაც საოცრად უყვარდათ სავიოლა და, სამწუხაროდ, ეჭვი მაქვს, რომ „რეალში“ მათი ფავორიტის გადაბირებას მძიმედ შეხვდებიან. თუმცა იმედი ვიქონიოთ, ხალხი „ბაჭიას“ გადაწყვეტილებას საბოლოოდ მაინც გაგებით შეხვდება.

**— ეტყობა, გულშემატკივრებს „ბარსასადმი“ ნდობა დაუბრუნდათ...**

— ხომ ნახეთ, ანრის პრეზენტაციაზე რაც მოხდა. ტიერიმ თავადაც აღნიშნა, ასეთ საოცარ ერთიანობას არსად შევხვედრივარო.

**— „ბარსამ“ თუ დაიბრუნა საკუთარი ძალებისადმი რწმენა?**

— მომავალ სეზონში სულ სხვანაირად წარიმართება საქმე. გასულმა სეზონმა კარგი გაკვეთილი მოგვცა და შეცდომების განმეორებას აღარ ვაპირებთ.

**— მადრიდის „რეალში“ ბერნდ შუსტერი, პეპე, სავიოლა, დუდეკი და მეცელდერი მივიდნენ...**

— ვინც უნდათ, ის მივიდეს და რაც უნდათ, ის გააკეთონ. ერთი წლის წინ, როცა ესპანეთშიც და ევროპაშიც ყველაფერი მოვიგეთ, „რეალი“ სულ არ გაგვხსენებია, რამაც კარგი შედეგი მოგვიტანა. იცით, რა არის „ბარსელონას“ ისტორიული შეცდომა? ის, რომ ყოველთვის მადრიდს შევცქეროდით... უნდა მოვინდომოთ, რომ „რეალმა“ დაისახოს მიზნად „ბარსას“ დევნა და არა პირიქით...

# რობენის გათეთრების ათასი ვარიანტი

## ჩელსიმ კანავარო მოითხოვა, რეალში კი დიდი მიდი-მოდია

**ხუთი** მილიონი ევრო აშორებს ჰოლანდიელ არიენ რობენს მადრიდის „რეალში" გადასვლამდე.

„სამეფო გუნდი" „ჩელსის" 18 მილიონს სთავაზობს მაშინ, როცა რომან აბრამოვიჩის კლუბი რობენს 23 მილიონ ევროდ აფასებს, თუმცა, ესპანური და ინგლისური გაზეთების ცნობით, საქმე სატრანსფერო გარიგებამდე მაინც მივა და არიენ რობენიც 20-21 მილიონის საფასურად ითამაშებს „სანტიაგო ბერნაბეუზე".

„რეალის" სურვილია, რობენის ოფიციალური წარდგენა მადრიდში, შეკრებაზე წასვლამდე მოაწყოს. ფეხბურთელსაც ბერნდ შუსტერის გუნდთან წინასწარი ხელშეკრულება ჰქონია გაფორმებული და რაღა დაგვრჩენია — ორიოდ დღეში რობენის გამადრიდელებას უნდა ველოდოთ...

ჰოლანდიელს აგენტად მამა, ჰანს რობენი ჰყავს. ამ კაცმა „მარკასთან" საუბარში თქვა, მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს და სულ მალე ალბათ შეთანხმებასაც მივაღწევთო.

რობენმა მოსამზადებელ ეტაპზე „ჩელსის" შემადგენლობაში ერთი თამაში უკვე ჩაატარა — ლონდონელებმა ამერიკულ ტურნეში მექსიკურ „ამერიკას" 2:1 მოუგეს.



ყველაზე კარგად მალუდამ ითამაშა, რომელიც სწორედ რობენის შემცვლელად მიიყვანეს „ჩელსიში".

ჰოლანდიელის „ბერნაბეუზე" გადასვლის სხვა ვარიანტიც არსებობს. საქმე ისაა, რომ „ჩელსის" მწვრთნელ ჟოზე მაურინიუს ფრიად მოსწონს „სამეფო თეთრების" მცველ ფაბიო კანავაროს თამაში და მისი ყიდვა უნდა. ლონდონური კლუბიდან ჯერემი ნჯიტაპი „ნიუკასლში" წავიდა, ხალიდ ბულარუზი კი „სევილიაში" და „მაუსაც" სურს, შესუსტებული დაცვა იტალიელით გააძლიეროს. ჰოდა, თუ კანავარო ჩრდილოეთს წავიდა, „რეალი" ძალიან იაფად მიიღებს არიენ რობენს.

მაურინიუს გუნდის პრობლემაზე უკვე ვთქვით, „რეალს" კი ცენტრალური მცველები პირიქით, ბევრი ჰყავს — ახალმოსულები, პეპე და კრისტოფ მეცელდერი, ფაბიო კანავარო, სერხიო რამოსი, ივან ელგერა და ალვარო მეხია. თუმცა ამ ბოლო ორს გაისად, სავარაუდოდ, „რეალში" თამაში არ უწერია, ისევე, როგორც მიჩელ სალგადოს, ემერსონს, ჟულიო ბაპტისტას და მარსელოს. ასე გადაწყვიტა „ბერნარდო" შუსტერმა.

და რობენის გარდა, კიდევ ვინ აინტერესებს „სამეფო გუნდს"? ამსტერდამის „აიაქსის" ნახევარმცველი უესლი სნეიდერი. ამ ფეხბურთელმა გასულ სეზონში 30 შეხვედრაში 18 გოლი შეაგდო და მადრიდელებსაც მისი ტალანტი არ გამოჰპარვიათ.

„მარკას" ვერსიით, „რეალი" „აიაქსს" ოფიციალური წინადადებით ამ კვირაში მიმართავს.

**ლადო ხომერიკი**



## რომა ჟიულის ებღაუჭება

**ლუდოვიკ ჟიული** „ბარსელონას" რომ დატოვებს, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. ვეტერან ფრანგ ნახევარმცველს რამდენიმე მსურველი ჰყავს, მათ შორის, „მონაკო" და იტალიური „რომა".

31 წლის ჟიულის დიდი ხანია, „გლადიატორებს" უკავშირებენ, მაგრამ მხარეები ფასზე ვერ თანხმდებიან, თუმცა „რომა" ბოლომდე ბრძოლას აპირებს, რადგან ლუჩანო სპალეტის რეაქტიული შემტევი ნახევარმცველით გაძლიერება ძალიან სდომებია.

კატალონიური „სპორტი" იუწყება, „ჯალოროსი" ვეტერან ნახევარმცველში 3 მილიონ ევროს იხდისო. „ბარსელონა" კი ჟიულიში 5 მილიონს ითხოვს და დაკლება არ უნდა.

„კატალონიელები ძალიან ბევრს ითხოვენ. ჩვენ კი მათ მშვენიერ წინადადებას ვთავაზობთ სატრანსფერო ბაზარზე ამჟამინდელი ფასების გათვალისწინებით. ყურადსაღებია ისიც, რომ ჟიული საკმაოდ მაღალ ხელფასს ითხოვს. იმედია, „ბარსელონა" ფასს დაუწევს და შეთანხმებას შევძლებთ" — თქვა „ჯალოროსის" სპორტულმა დირექტორმა დანიელე პრადემ.

**გიორგი ძაძამიძე**

## ბალახნინი: მე თვითონ!

**„როსტოვის"** მწვრთნელი სერგეი ბალახნინი გადადგა. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან მე-16 ტურის შემდეგ გუნდი ცხრილის ფსკერზეა — მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო და 11 გოლი გაიტანა.

ბალახნინი სეზონის წინ დანიშნეს და ეს მისი მეოთხე მისვლა იყო „როსტოვში". 2003 წელს მისი თავკაცობით დონისპირელები რუსეთის თასის ფინალში გავიდნენ და „სპარტაკთან" დამარცხდნენ.

## ერიკსონი ბარსას შეესია

**„მანჩესტერ სიტი"** „ბარსელონადან" ტიაგო მოტასა და ლუდოვიკ ჟიულის შეძენას აპირებს — წერს „მანჩესტერ ივნინგი". სიტელთა მწვრთნელის, სვენ გორან ერიკსონის აზრით, მოტა ჯოი ბარტონს შეცვლის, რომელიც „ნიუკასლში" გადავიდა. ჟიულს კი „ბარსელონაში" უთამაშებლობის გამო პრობლემები აქვს.

## ტრანსფერი ტელეფონით

**„მონაკოსთან"** კონტრაქტდასრულებული მანუელ დოს სანტოსი „სტრასბურმა" გადაიბირა. 33 წლის მცველი „ნიცასაც" სურდა, მაგრამ უმაღლეს დივიზიონში აღზევებულმა „სტრასბურმა" აჯობა, რომელსაც გასულ სეზონში ჟან-პიერ პაპენი წვრთნიდა, ახლა კი ჟან-მარკ ფურლანი თავკაცობს.

„მწვრთნელს ტელეფონით ვესაუბრე და საკითხი უცბად მოვაგვარეთ" — თქვა დოს სანტოსმა.

## ბორდოს ბელიონი

**„ნიცას"** ფორვარდი დავიდ ბელიონი „ბორდომ" 2 მილიონ ევროდ იყიდა და ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. იგი „რეინჯერსში" წასულ ჟან-კლოდ დარშევილს შეცვლის. 24 წლის ბელიონს „მანჩესტერ იუნაიტედში", „სანდერლენდსა" და „ვესტ ჰემში" უთამაშია. ინგლისში კარიერა არ აეწყო და შარშან სამშობლოში დაბრუნდა.

## დუალას დაბრუნება

**ლისაბონის** „სპორტინგის" კამერუნელი ფორვარდი როდოლფო დუალა „სენტ ეტიენში" გადავიდა. იგი გასულ სეზონში „პორტსმუთში" იყო განათხოვრებული.

კამერუნელმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა „სენტ ეტიენთან", სადაც ათი წლის წინაც უთამაშია. დუალა მივიდა, მაგრამ წავიდა მცველი ვენსან ონონი, რომელმაც „ნიცას" მიაშურა.

## კაპელო ამერიკაზე ფიქრობს

**ფაბიო კაპელომ** „გაძეტა დელო სპორტთან" თქვა, რომ მოსკოვის „ლოკომოტივი" და კიევის „დინამო" ეპატიჟებოდნენ, მაგრამ იუარა. მადრიდის „რეალიდან" გათავისუფლებულ მწვრთნელს ამერიკის მეიჯორ სოკერ ლიგიდანაც მიუღია მიწვევა და ფიქრობს.

„კლუბს ჯერ ვერ დავასახელებ — განაცხადა იტალიელმა — თუ დავთანხმდები, ამას ფულის გამო კი არ გავაკეთებ, არამედ ცხოვრებისეული გამოცდილების მისაღებად".

**ვაჟა ხუციშვილი**

# ძირს იარაღი!

## ლილიან ტურამი ნანახმა შეაძრწუნა

**ლილიან ტურამი** გაეროს კეთილი ნების ელჩად გახლდათ დასავლეთ აფრიკაში. „ბარსელონას" სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა არდადეგების პერიოდი ნაყოფიერად გამოიყენა და 7 დღის განმავლობაში მთელი დასავლეთ აფრიკა შემოიარა.

ფრანგის მისია სამოქალაქო ომებით დაზარალებულ ქვეყნებში ახალგაზრდათა მონახულება და მათი გამხნევება იყო — ბარბაროსულმა ომებმა ხომ აფრიკას საშინელი ზიანი მიაყენა...

ტურამი პირველად გვინეაში ჩავიდა. ფეხბურთელს თან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორი წარმომადგენელი, პარიზის საერთაშორისო ურთიერთობათა და სტრატეგიების ინსტიტუტის დირექტორი პასკალ ბონიფასი და ორი ჟურნალისტი ახლდა.

„თავს ისე ვგრძნობ, თითქოს მშობლიურ გვადალუპეში ვიყო — ბუნება ზუსტად იგივეა. თუმცა აფრიკაში მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის საშინელი კონტრასტია. არ შეიძლება, მდიდარი ასე ფუფუნებით ცხოვრობდეს, როდესაც ღატაკებს შიმშილით და ავადმყოფობით სული სძვრებათ" — აღნიშნა ვეტერანმა ფრანგმა.

ფეხბურთელი ლიბერიაში, ომის შედეგად დაინვალიდებულ ბავშვთა მატჩს დაესწრო, სადაც ტურამს საოცარი ოვაციებით შეეგებნენ.

„მინდა, აფრიკის ქვეყნებისა და საერთოდ მთელი მსოფლიოს მთავრობებს მოვუწოდო — ძირს იარაღი! თუ მაინცდამაინც ომი საჭიროა, მოდით, მხოლოდ იდეებით, სიტყვიერად ვიბრძოლოთ და სისხლის დაღვრას შევეშვათ... არ მეგულება ადამიანი, რომელიც ნაღმზე აფეთქებული ბავშვის ნახვის შემდეგ არ გაიფიქრებს, რომ ომი დიდი სისულელეა" — განაცხადა გაეროს წარგზავნილმა.

**ლადო ხომერიკი**




### მსოფლიოს 2007 წლის U-20 ჩემპიონატი

**მეოთხედფინალი**

არგენტინა 1:0 მექსიკა

**ნახევარფინალი**

18 ივლისი

ავსტრია — ჩეხეთი

19 ივლისი

ჩილე — არგენტინა

### აზიის თასი 2007

**A ჯგუფი. III ტური**

ომანი 0:0 ერაყი

ტაილანდი 0:4 ავსტრალია

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ერაყი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| ავსტრალია | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| ტაილანდი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | 4 |
| ომანი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |

**B ჯგუფი. III ტური**

ყატარი 1:2 საამიროები

ვიეტნამი 1:4 იაპონია

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იაპონია | 3 | 2 | 1 | 0 | 8:3 | 7 |
| ვიეტნამი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| საამიროები | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ყატარი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |



# ქალბატონი არ გვაინტერესებს

## მანჩინის კივუ ისევ უნდა

**მილანის „ინტერმა“ რამდენიმე დღეა, ვარჯიში დაიწყო. „ნეროაძურის“ მთავარი მწვრთნელი რობერტო მანჩინი ჯერჯერობით თავისი შეგირდებით კმაყოფილია და მომავალ სეზონს ოპტიმისტურად უყურებს. მან ჟურნალისტებს რამდენიმე საინტერესო კითხვაზე უპასუხა...**

— „ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ თქვა, რომ გუნდი ახლა ძალიან ძლიერია და მომავალ სეზონში შეეცდება, სკუდეტოც მოიგოს და ჩემპიონთა ლიგაც. ეთანხმებით მას?

— ნამდვილად ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს, წინა სეზონისაზე უფრო ძლიერი. გასული სეზონი ექსტრაორდინალური გამოდგა, რომელიც წარმატებით დავასრულეთ. ახლა მომავლისთვის ვემზადებით იგივე მიზნებით — გვინდა, სკუდეტოც მოვიგოთ და ჩემპიონთა ლიგაც. თუმცა ამას ყველა დიდი გუნდი გეგმავს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ფინალში მხოლოდ ორი გადის. ჩვენ შევეცდებით, საკუთარი პოტენციალი მაქსიმალურად გამოვავლინოთ.

**— კიდევ უფრო სასიამოვნო იქნება სკუდეტოს მოგება იმ სერია A-ში, რომელშიც „იუვენტუსიც“ თამაშობს?**

— ჩვენ უკვე მოვიგეთ სკუდეტო გასულ სეზონში და იგივეს ვეცდებით მომავალში. თუმც არა იმიტომ, რომ „იუვენტუსი“ სერია A-ში დაბრუნდა, ეს არაფერ შუაშია. უბრალოდ, ჩვენი მიზანი პირველობაა.

**— კრისტიან კივუს შესაძლო ტრანსფერზე რას იტყვით?**

— ვერაფერს, ბოლო დღეებში ამ საკითხზე ინფორმაცია არ მიმიღია. ვნახოთ, როგორ დასრულდება მოლაპარაკება. ვიცი, რომ ვითარება დაიძაბა და საერთო ენის გამონახვა ვერ ხერხდება. არადა, კივუს დიდი ხანია, ვაკვირდებით და მისი დამატება გვინდა. ჩვენი პრეზიდენტის გაბრაზებაც მესმის — დაუსრულებლად ვაჭრობა და გაურკვევლობაში ყოფნა არ შეიძლება. ასე რომ, დიდი შანსია, ეს ტრანსფერი აღარც შედგეს, მაგრამ ეს არ ცვლის იმ ფაქტს, რომ კივუ ბრწყინვალე ფეხბურთელია.

**— დაურეკეთ მას?**

— არა, მე მხოლოდ ნედველს დავურეკე... დიახ, პაველს დავურეკე იმიტომ, რომ სამი წელი თანაგუნდელები ვიყავით, ერთმანეთს კარგად ვიცნობთ, კარგი მეგობრები ვართ. შესაძლოა, ეს ვიღაცას დააფიქრებდა... მისი აზრი მაინტერესებდა ერთ ჩეხ ფეხბურთელზე, რადოსლავ კოვაჩზე. იმ დღეებში იგი კარიერის დასრულებაზე ფიქრობდა და ამ საკითხზეც ვესაუბრე. ეს პირადული ზარი გახლდათ და არაფერი აქვს საერთო იმ ყველაფერთან, რაც ჟურნალ-გაზეთებში დაიწერა.

**— რომელიმე კლუბი ხომ არ დაგიკავშირდათ და წინადადება ხომ არ შემოგთავაზათ?**

— არა. „ინტერში“ თავს ბედნიერად ვგრძნობ და იმედია, გუნდი კარგად თამაშს და წარმატებებს გააგრძელებს.

**— ადრიანო კი ნელ-ნელა უმატებს...**

— სეზონისწინა მოსამზადებელი პერიოდის პირველ დღეებში ყველა დიდი შემართებით ირჯება. ძნელია, იპოვო ფეხბურთელი, რომელსაც 45-დღიანი დასვენების შემდეგ თამაში არ უნდოდეს. თუმცა ეს ჯერ არაფერია, ყოველდღიურად უნდა მოვუმატოთ. მოსამართლე და შემფასებელი კი მხოლოდ ერთია — მოედანი. ყველამ იქ უნდა გამოიჩინოს თავი.

**— რამემ თუ გაგაკვირვათ ამ დღეებში?**

— განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. შესაძლოა, ფეხბურთელების საოცარმა მონდომებამ. თუმცა ეს პირველი დღეებითა და თამაშის მონატრებითაცაა განპირობებული. მერე კი ყველაფერი რთულდება, სეზონი ძალიან დატვირთულია.

**— ფიზიკური თვალსაზრისით, ვინმეს განსაკუთრებით ხომ არ დაუკარგავს ფორმა შვებულების პერიოდში?**

— ყველაფერი წესრიგშია. გრძელი და დატვირთული სეზონის მერე, როცა შვებულებაში გადიხარ, შეიძლება თავს ზედმეტად მოდუნების უფლებაც მისცე, მაგრამ ბოლო დღეებში უფრო ფრთხილობ.

**— ძალიან ბევრს ვარჯიშობთ?**

— დიახ, მაგრამ ზედმეტადაც არა.

# კიდევ ერთი მარადონა?!

## ბარძალი ფიქრობს და ფიქრობს

**იტალიის** ნაკრებისა და „პალერმოს“ მცველმა ანდრეა ბარძალიმ თქვა, არსად მივდივარო. იგი ახლაც „იუვენტუსისა“ და „ფიორენტინას“ სამიზნეზეა, მაგრამ სიცილიელთა პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი 26 წლის ფეხბურთელში, სულ მცირე, 15 მილიონ ევროს ითხოვს, რაც მსურველებს ეძვირებათ. თან ბარძალის ნათქვამსაც თუ გავითვალისწინებთ...

„თუ რაიმე მოულოდნელი არ მოხდა, „პალერმოში“ დავრჩები. აქ ბედნიერი ვარ და წასვლა არ მინდა. ადრე რეალურად მხოლოდ „იუვენტუსი“ იყო ჩემით დაინტერესებული, მაგრამ ტურინელთა მწვრთნელმა სხვა ვარიანტი ამჯობინა“ — თქვა ბარძალიმ.

ცოტა ხნის წინ, იტალიური პრესა წერდა, „პალერმომ“ და „ფიორენტინამ“ თითქმის მიაღწიეს შეთანხმებას და ბარძალის ტრანსფერს ხელს ალბათ აღარაფერი შეუშლისო, მაგრამ...

„ფლორენციელებსა და „პალერმოს“ შორის არცთუ კარგი ურთიერთობაა — ამბობს ბარძალი — გარდა ამისა, კიდევ 10 წელი მაინც ვაპირებ თამაშს და სანამ ნაბიჯს გადავდგამ, ყველაფერი კარგად უნდა შევაფასო. მნიშვნელოვანია ფინანსური მხარეც“.

ბარძალი ახალ სეზონში, შესაძლოა, „პალერმოს“ კაპიტნად მოგვევლინოს, რადგან ვეტერანი ეუჯენიო კორინი „ტორინოში“ გადაბარგდა და კაპიტნის სამკლავურიც გათავისუფლდა. ნიჭიერი მცველი სიცილიური კლუბის მომავალს ოპტიმისტურად უყურებს და გუნდში ფაბრიციო მიკოლის მისვლით კმაყოფილია.

„ვფიქრობ, მას ფანების გაგიჟება და სტადიონზე მეტი ხალხის მოყვანა შეუძლია. იგი უკვე შეეგუა აქაურობას. ფიზიკური აღნაგობით მიკოლი დიეგო მარადონას მაგონებს“ — დასძინა ბარძალიმ.

**კოკი კანდელაკი**

# მანსინი რომას გოგონამ მიაბა



**იტალიური** პრესის ცნობით, „რომას“ ბრაზილიელი ნახევარმცველის ამანტინო მანსინის აგენტი, ჟილმარ ველოზო ცდილობს, „ლივერპულის“ მისი კლიენტისადმი ინტერესი გამოიყენოს და „გლადიატორებს“ ხელფასი საგრძნობლად მოამატებინოს.

მანსინის „რომასთან“ კონტრაქტს ვადა 2009 წლის 30 ივნისს გასდის, მაგრამ იგი ხელფასითაა უკმაყოფილო, მით უმეტეს, წინა სეზონის ბრწყინვალედ ჩატარების შემდეგ. ამჟამად მანსინი წელიწადში 1,5 მილიონ ევროს იღებს და ამბობენ, სულ მცირე, 3 მილიონი უნდაო. დედაქალაქელები კი მხოლოდ 2,5 მილიონზე ყოფილან ყაბულს.

— „ლივერპული“ დაინტერესებულია მანსინით. რაფაელ ბენიტესსაც ველაპარაკე და ვუთხარი, ჯერ „რომას“ შეუთანხმდით-მეთქი. თუ კლუბები საერთო ენას გამონახავენ, ინგლისელებთან კონტრაქტის დეტალებს მერე შევათანხმებთ. თუმცა იმასაც გააჩნია, რას შემოგვთავაზებს „რომა“, რომელსაც მანსინის გაშვება დიდად არ უნდა და არც ამანტინოა დარჩენის წინააღმდეგი — თქვა ველოზომ.

„ილ რომანისტას“ ცნობით კი, მანსინის დარჩენაში გადამწყვეტი როლი, შესაძლოა, სიყვარულმა ითამაშოს — ბრაზილიელს რომაელი რობერტა პედრელი შეყვარებია და წყვილს ლივერპულში გადაბარგების პერსპექტივა მაინცდამაინც არ ხიბლავს.

**კოკი კანდელაკი**

# იუვენტუსს მუჰამედ ალი მოსწყურდა

**იმ** ყველაფერმა, რაც ტურინის „იუვენტუსს“ შარშან გადახდა, „ბებერ ქალბატონს“ გამარჯვების წყურვილი გაუჩინა. კლუბის გენერალურ მენეჯერ ჟან-კლოდ ბლანის აზრით, სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი იარაღი, რომელიც გუნდს წარმატების მიღწევაში დაეხმარება.

სპეციალისტთა უმეტესობა თვლის, რომ „იუვენტუსი“ სერია A-ს ოთხეულში მოხვდება, მაგრამ, მათი აზრით, სკუდეტოს მოგების რეალური შანსი მხოლოდ „ინტერს“ და „მილანს“ აქვთ. თუმცა ბლანი მიიჩნევს, რომ ჩემპიონობისთვის „იუვეც“ იბრძოლებს.

„ჩვენ ისე გვწყურია გამარჯვება, როგორც ახალგაზრდა მუჰამედ ალის. ამჟამინდელ „იუვენტუსს“ იმ ალის ვადარებ, რომელმაც კინშასაში ჯორჯ ფორმენს მოუგო. იგი არ იყო იმდენად ძლიერი, მაგრამ თავისი ქომაგების მხარდაჭერით ორმაგად მოტივირებული გახლდათ. გამარჯვების წყურვილი და შემართება მთავარი ფაქტორია. მით უმეტეს, როცა კონკურენტებსა და შენს შორის ძალიან დიდი სხვაობა არ არის. თანაც, ჩვენ ჯიჯი ბუფონი და ალესანდრო დელ პიერო გვყავს. ლოგიკურია, რომ სკუდეტოს მოპოვების ფავორიტებად „მილანსა“ და „ინტერს“ თვლიან, მაგრამ ეს ჩვენ არ გვაღელვებს“ — აღნიშნა ბლანმა.

**გიორგი კაკაბაძე**



# კი მაგრამ...

**რონალდოს** დაადგა თვალი „ლოს ანჯელეს გალაქსიმ“.

„სანდი მეილის“ ინფორმაციით, კალიფორნიული კლუბი დევიდ ბექჰემის ყიდვის შემდეგ ბრაზილიელი სუპერვარსკვლავის შემატებასაც აპირებს.

„ეს იქნება ბრწყინვალე, ფანტასტიკური მოვლენა. ძალიან გვინდა, რომ რონალდომ ჩვენს კლუბში ითამაშოს, თუმცა ჯერჯერობით ეს ვარაუდის დონეზეა“ — განაცხადა „ლოს ანჯელეს გალაქსის“ პრეზიდენტმა ალექს ლალასმა.

დატოვებს კი რონალდო „მილანს“?

**ლადო ხომერიკი**

## ადვოკაატს ავსტრალია გაუმზადეს

**ავსტრალიური** მედიის ცნობით, მათი ნაკრების მწვრთნელი დიკ ადვოკაატი გახდება და მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევში უთავკაცებს. ადვოკაატი ამჟამად სანკტ პეტერბურგის „ზენიტში“ მუშაობს, ორწლიანი კონტრაქტი 11 ნოემბერს ეწურება.

ავსტრალიას კი გუს ჰიდინკის წასვლის შემდეგ დროებით წვრთნის გრემ არნოლდი, რომლის გარჯითაც უკმაყოფილონი არიან.

## რეკობამ ურუგვაი დაასრულა

**ალვარო რეკობამ** „კოპა ამერიკაზე“ მექსიკასთან მარცხის შემდეგ (რომელშიც არ უთამაშია) ნაკრებში კარიერის დასრულების თაობაზე განაცხადა. 31 წლის ნახევარმცველმა 58 მატჩში 12 გოლი გაიტანა და მეტწილად, ისევე, როგორც კლუბში, ნაკრებსაც ტრავმების გამო აკლდებოდა. ურუგვაიმ ნახევარფინალში ბრაზილიასთან პენალტებით წააგო, მერე კი მექსიკასთან მესამე ადგილისთვის მატჩშიც დამარცხდა.

## პატარა მამალი

**„დეილი მირორის“** ცნობით, უახლოეს დღეებში „ტოტენჰემი“ 17 წლის დენი როუზს იყიდის „ლიდსიდან“. ახალგაზრდა ნახევარმცველი ერთ-ერთი გამორჩეულია თავის ტოლებში და მისი გადაბირება „ჩელსის“, „ლივერპულს“ და „ნიუკასლსაც“ უნდოდათ, მაგრამ „მამლებმა“ იყოჩაღეს.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შვეიცარია სუპერლიგა 18 ივლისი | | | | | | |
| 21:45 | 6 | გრასჰოპერი-სტ.გალენი | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| | | დანია სუპერლიგა 18 ივლისი | | | | | | |
| 22:00 | 40 | ორჰუსი-ჰორსენსი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 22:00 | 41 | ესბიერგი-ბრიონდბიუ | 3.20 | 3.20 | 2.15 | 1.60 | 1.28 | 1.28 |
| 20:00 | 42 | ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი | 5.40 | 3.60 | 1.60 | 2.16 | 1.23 | 1.10 |
| 20:00 | 43 | რანდერსი-ვიბორგი | 2.10 | 3.30 | 3.20 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა 17 ივლისი | | | | | | |
| 22:00 | 66 | მალმიო-იურგორდენი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| | | 18 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 67 | ჰამარბი-კალმარი | 2.10 | 3.20 | 3.15 | 1.26 | 1.25 | 1.58 |
| | | ფინეთი 18 ივლისი | | | | | | |
| 19:30 | 83 | იარო-ინტერი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| | | ირლანდია 17 ივლისი | | | | | | |
| 22:45 | 91 | კორკი-უოტერფორდი | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჩემპიონთა ლიგა 17 ივლისი | | | | | | |
| 23:00 | 122 | აპოელი ნ-ბატე | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 22:00 | 127 | ხაზარი-დინამო ზ | 7.00 | 4.60 | 1.33 | 2.77 | 1.11 | 1.03 |
| 20:45 | 128 | ლინფილდი-ელფსბორგი | 4.10 | 3.50 | 1.70 | 1.88 | 1.20 | 1.14 |
| 23:00 | 133 | მურატა-ტამპერე | 9.20 | 5.60 | 1.20 | 3.48 | 1.06 | 1.00 |
| 21:30 | 134 | ტნს-ვენტსპილსი | 3.60 | 3.30 | 1.85 | 1.72 | 1.22 | 1.18 |
| 22:30 | 135 | ზეტა-კაუნასი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| | | 18 ივლისი | | | | | | |
| 20:45 | 123 | დერი-პიუნიკი | 1.60 | 3.60 | 4.70 | 1.10 | 1.19 | 2.03 |
| 22:15 | 124 | დომჟალე-ტირანა | 1.35 | 4.30 | 7.00 | 1.02 | 1.13 | 2.66 |
| 21:00 | 125 | დუდელანჟე-ვილნა | 9.00 | 5.60 | 1.20 | 3.45 | 1.05 | 1.00 |
| 20:00 | 126 | ჰაფნარფიორდური-ტორშავნი | 1.20 | 5.50 | 9.50 | 1.00 | 1.06 | 3.48 |
| 22:00 | 129 | მარსახლოკი-სარაევო | 7.50 | 4.60 | 1.30 | 2.85 | 1.10 | 1.01 |
| 19:00 | 131 | პობედა-ლევადია | 1.50 | 3.90 | 5.30 | 1.08 | 1.16 | 2.24 |
| 23:00 | 132 | შერიფ ტრასპორტფურნ(ანდ) | 1.12 | 7.50 | 11.00 | 1.00 | 1.01 | 4.45 |
| | | მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში (20) 18 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 197 | ჩეხეთი 20-ავსტრია 20 | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| | | საერთაშორისო ტურნირი კორეა 17 ივლისი | | | | | | |
| 15:00 | 227 | რასინგი-ბოლტონი | 3.50 | 3.20 | 1.90 | 1.67 | 1.23 | 1.19 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ამხანაგური მატჩები 17 ივლისი | | | | | | |
| 15:00 | 228 | ურავა-მანჩესტერი | 7.00 | 4.20 | 1.35 | 2.62 | 1.13 | 1.02 |
| 20:30 | 229 | პერტა-მიდლსბრო (ნ) | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 20:15 | 230 | ჰანოვერი-რეინჯერსი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 22:00 | 231 | ლაციო-შტუტგარტი (ნ) | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 22:00 | 232 | ვერდერი-ლივერპული(ნ) | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| | | ჩოგბურთი. ATP ამერსფურტი. გრუნტი. 17 ივლისი | | | | | | |
| 13:00 | 206 | ანდრეევი-ტიპსარევიჩი | 1.20 | | 2.80 | | | |
| 13:00 | 207 | დავიდენკო-ხერა | 1.12 | | 4.00 | | | |
| 13:00 | 208 | იუნი-ვასაიო არგუენო | 1.20 | | 3.00 | | | |
| | | ჩოგბურთი. ATP. შტუტგარტი. გრუნტი. 17 ივლისი | | | | | | |
| 13:00 | 214 | ჯასუსო-კუბეკი | 1.35 | | 2.20 | | | |
| 13:00 | 215 | ბერდიხი-ნ ლაპენტი | 1.12 | | 4.00 | | | |
| 13:00 | 216 | კანასი-ვავრინკა | 1.12 | | 4.00 | | | |
| 13:00 | 217 | კოლშრაიბერი-გრიული | 1.15 | | 3.80 | | | |
| 13:00 | 218 | ფ ლოპესი-ბერლოკი | 1.50 | | 2.10 | | | |
| 13:00 | 219 | მონაკო-გერნიხი | 1.15 | | 3.50 | | | |
| 13:00 | 220 | ნადალი-ვასკე | 1.01 | | 9.00 | | | |
| 13:00 | 221 | ფერერო-გაუდიო | 1.25 | | 2.80 | | | |
| 13:00 | 222 | ჩელა-მირნი | 1.15 | | 4.00 | | | |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10006 | გრასჰოპერი-სტ.გალენი | 2.25 | 2.00 | 4.10 | 1.05 | 1.45 | 1.34 |
| 10040 | ორჰუსი-ჰორსენსი | 2.40 | 2.00 | 3.75 | 1.09 | 1.46 | 1.30 |
| 10041 | ესბიერგი-ბრიონდბიუ | 3.60 | 2.10 | 2.50 | 1.32 | 1.47 | 1.14 |
| 10042 | ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი | 5.70 | 2.20 | 2.00 | 1.58 | 1.48 | 1.04 |
| 10043 | რანდერსი-ვიბორგი | 2.50 | 2.10 | 3.60 | 1.14 | 1.47 | 1.32 |
| 10066 | მალმიო-იურგორდენი | 2.35 | 2.00 | 4.00 | 1.08 | 1.48 | 1.33 |
| 10067 | ჰამარბი-კალმარი | 2.50 | 2.10 | 3.50 | 1.14 | 1.45 | 1.31 |
| 10083 | იარო-ინტერი | 3.00 | 2.00 | 2.90 | 1.20 | 1.47 | 1.18 |
| 10229 | პერტა-მიდლსბრო (ნ) | 2.65 | 2.00 | 3.15 | 1.13 | 1.43 | 1.22 |
| 10230 | ჰანოვერი-რეინჯერსი | 2.65 | 2.10 | 3.25 | 1.17 | 1.45 | 1.27 |
| 10231 | ლაციო-შტუტგარტი (ნ) | 3.00 | 2.00 | 2.80 | 1.20 | 1.44 | 1.16 |
| 10232 | ვერდერი-ლივერპული(ნ) | 3.20 | 2.00 | 2.60 | 1.23 | 1.43 | 1.13 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11006 | გრასჰოპერი-სტ.გალენი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11040 | ორჰუსი-ჰორსენსი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11041 | ესბიერგი-ბრიონდბიუ | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11042 | ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11043 | რანდერსი-ვიბორგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11066 | მალმიო-იურგორდენი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11067 | ჰამარბი-კალმარი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11083 | იარო-ინტერი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11229 | პერტა-მიდლსბრო (ნ) | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11230 | ჰანოვერი-რეინჯერსი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11231 | ლაციო-შტუტგარტი (ნ) | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11232 | ვერდერი-ლივერპული(ნ) | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12006 | გრასჰოპერი-სტ.გალენი | 1.90 | 1.70 |
| 12040 | ორჰუსი-ჰორსენსი | 1.90 | 1.70 |
| 12041 | ესბიერგი-ბრიონდბიუ | 1.90 | 1.60 |
| 12042 | ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი | 2.00 | 1.50 |
| 12043 | რანდერსი-ვიბორგი | 1.90 | 1.70 |
| 12066 | მალმიო-იურგორდენი | 1.90 | 1.70 |
| 12067 | ჰამარბი-კალმარი | 1.90 | 1.70 |
| 12083 | იარო-ინტერი | 1.70 | 1.85 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13064 | ბრომაპოიკარნა-გეფლე | 1.70 | 1.90 |
| 13065 | ჰალმსტადი-ოირგრიო | 1.70 | 1.90 |
| 13071 | ფალკენბერგი-მიალბი | 1.60 | 1.95 |
| 13072 | ნორჩიოპინგი-დეგერფორსი | 2.00 | 1.55 |
| 13073 | იოსტერსი-ენჩიოპინგი | 1.70 | 1.90 |
| 13082 | ტურკუ-კტპ | 1.70 | 1.80 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე გუნდი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14006 | გრასჰოპერი-სტ.გალენი | 1.65 | 2.30 |
| 14040 | ორჰუსი-ჰორსენსი | 1.75 | 2.10 |
| 14041 | ესბიერგი-ბრიონდბიუ | 2.10 | 1.75 |
| 14042 | ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი | 2.50 | 1.30 |
| 14043 | რანდერსი-ვიბორგი | 1.75 | 2.10 |
| 14066 | მალმიო-იურგორდენი | 1.70 | 2.20 |
| 14067 | ჰამარბი-კალმარი | 1.75 | 2.10 |
| 14083 | იარო-ინტერი | 1.95 | 1.85 |
| 14229 | პერტა-მიდლსბრო (ნ) | 1.80 | 2.00 |
| 14230 | ჰანოვერი-რეინჯერსი | 1.80 | 2.00 |
| 14231 | ლაციო-შტუტგარტი (ნ) | 1.95 | 1.85 |
| 14232 | ვერდერი-ლივერპული(ნ) | 2.00 | 1.80 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15006 | გრასჰოპერი-სტ.გალენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15040 | ორჰუსი-ჰორსენსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15041 | ესბიერგი-ბრიონდბიუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15042 | ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15043 | რანდერსი-ვიბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15066 | მალმიო-იურგორდენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15067 | ჰამარბი-კალმარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15083 | იარო-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15229 | პერტა-მიდლსბრო (ნ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15230 | ჰანოვერი-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15231 | ლაციო-შტუტგარტი (ნ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15232 | ვერდერი-ლივერპული(ნ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16006 | გრასჰოპერი-სტ.გალენი | 1.32 | 3.00 |
| 16040 | ორჰუსი-ჰორსენსი | 1.45 | 2.45 |
| 16041 | ესბიერგი-ბრიონდბიუ | 2.20 | 1.50 |
| 16042 | ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი | 3.60 | 1.23 |
| 16043 | რანდერსი-ვიბორგი | 1.50 | 2.30 |
| 16066 | მალმიო-იურგორდენი | 1.38 | 2.65 |
| 16067 | ჰამარბი-კალმარი | 1.50 | 2.30 |
| 16083 | იარო-ინტერი | 1.80 | 1.85 |
| 16229 | პერტა-მიდლსბრო (ნ) | 1.62 | 2.05 |
| 16230 | ჰანოვერი-რეინჯერსი | 1.58 | 2.10 |
| 16231 | ლაციო-შტუტგარტი (ნ) | 1.82 | 1.82 |
| 16232 | ვერდერი-ლივერპული(ნ) | 1.95 | 1.65 |

### გოლი:ლუწი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17006 | გრასჰოპერი-სტ.გალენი | 1.85 | 1.95 |
| 17040 | ორჰუსი-ჰორსენსი | 1.85 | 1.95 |
| 17041 | ესბიერგი-ბრიონდბიუ | 1.85 | 1.95 |
| 17042 | ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი | 1.85 | 1.95 |
| 17043 | რანდერსი-ვიბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17066 | მალმიო-იურგორდენი | 1.85 | 1.95 |
| 17067 | ჰამარბი-კალმარი | 1.85 | 1.95 |
| 17083 | იარო-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17229 | პერტა-მიდლსბრო (ნ) | 1.85 | 1.95 |
| 17230 | ჰანოვერი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17231 | ლაციო-შტუტგარტი (ნ) | 1.85 | 1.95 |
| 17232 | ვერდერი-ლივერპული(ნ) | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# ოცწლამდელთა ევროპის ჩემპიონატი
## სლოვენია-იტალია. 6-15 ივლისი

# როცა მინიმუმი მაქსიმუმად ითვლება
## უყოჩოდ ყოჩაღობა ძნელია



**შარშან** ამ დროს B დივიზიონში მყოფი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატიდან რომ დაბრუნდა, თასი და A დივიზიონის საგზური ჩამოიტანა. დავით უსტიაშვილის გუნდმა მაშინ ყველას აჯობა და ფინალში პორტუგალია მისსავე მოედანზე დაამარცხა. ახლა კი ჩვენი ოცწლამდელები ფინალური ეტაპიდან ხელცარიელნი მოდიან, თუმცა მათზე აუგის თქმა ძნელია — მთავარი მიზანი ხომ ელიტაში ადგილის შენარჩუნება იყო და ამას მიაღწიეს კიდეც.

A დივიზიონში ადგილის შენარჩუნება შესანიშნავია, მაგრამ მთავარ მიზნად ამის დასახვა ცოტათი ოლიმპიურ პრინციპს გვახსენებს: მთავარია მონაწილეობა და არა შედეგი! როცა ევროპის ჩემპიონატზე მიდიხარ და იმის ცდაში ხარ, როგორმე 2 უცუდეს გუნდში არ მოხვდე, ვერ უნდა იყოს ჯანსაღი განზრახვა. ეს ხომ იმას ნიშნავს, ოღონდ მომავალშიც ფინალურ ეტაპზე მათამაშა და მნიშვნელობა არ აქვს, რომელ ადგილზე გავალო. ისე კი, დასახული მიზნისთვის ბრძოლაში და თავდადებაში ქართველებს წუნს ვერ დასდებ. თქვეს, დარჩენისთვის ვიბრძოლებთო და დარჩნენ — მედლები, ან თუნდაც ხუთეული არავის უხსენებია.

ევროპის ჩემპიონატმა კი რა გამოაჩინა? თურმე საქართველო არც ისეთი აუტსაიდერი ყოფილა, როგორც ჩვენებს ეგონათ. რაკი ახალი გუნდი გვყავდა, შეუკვრელ-შეუთამაშებელი და რახან B დივიზიონის ბინადარ უკრაინასთან სამივე სპარინგ-მატჩი წავაგეთ, ვიფიქრეთ, რომ ფინალურ ეტაპზე მტაცებლები დაგვხვდებოდნენ. უკრაინა მართლაც ჩვენზე ძლიერი იყო, მაგრამ ის A დივიზიონის არცერთ სხვა გუნდსაც დაჯაბნიდა. ეს იმიტომ, რომ ასაკობრივი ნაკრებთა სპეციფიკა თავისებურია. ერთ წელს რომ ჩემპიონი გახდები, შესაძლოა, მეორე წელს ათეულშიც ვერ მოხვდე. ნიჭიერი ბიჭები გადააბიჯებენ ლიმიტირებულ ასაკს, ამ შემთხვევაში 20 წელს და მშვიდობით ახალგაზრდულო.

სწორედ ასაკობრივი ცენზის გამო დაკარგა ამ ახალგაზრდულმა გიორგი ცინცაძე, ვიქტორ სანიკიძე, ლაშა გამყრელიძე, მანუჩარ მარკოიშვილი, რომლებიც იტალია-სლოვენიაში რომ გვყოლოდა, ოქრომდე მისვლაც შეიძლებოდა. ამ ბიჭების დაკარგვის და შესაბამისად ახალი გუნდის ჩამოყალიბების გამო განეწყო ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობა პესიმისტურად და A დივიზიონში ადგილის შენარჩუნებაზე მეტი მიზანი არ დაისახა, თორემ მეტოქეთა რეალური შესაძლებლობები რომ სცოდნოდა, დავით უსტიაშვილის გუნდი ალბათ სულ სხვა განწყობით წავიდოდა ევროჩემპიონატზე.

საქართველო იტალია-სლოვენიაში ჩავიდა და პირველივე მატჩში ლატვიასთან დიდი ანგარიშით იმარჯვა. მერე თავიდან იტალიასაც გაუძალიანდა, მაგრამ ბულგარეთთან მატჩისთვის ძალები შემოინახა და სწორედაც მოიქცა. პირველი ჯგუფის ბოლო ტურში ქართველებმა ის ბულგარეთი დაამარცხა, რომელიც საბოლოოდ მე-8 ადგილზე გავიდა.

ეს იყო ქართველების მაქსიმუმი. თუმც მომდევნო ჯგუფურ ეტაპზე უსტიაშვილის გუნდი ყველას გაუძალიანდა, მაგრამ მოგების გემო ველარ გაიხსენა. თვით ესპანეთს, რომელიც საბოლოოდ ფინალში გავიდა, ქართველები მთელი პირველი ტაიმი უგებდნენ და მეორიდან აერიათ დავთრები.

ჩვენები რომ ბოლომდე ვერ ებრძოდნენ მეტოქეებს, პირველ რიგში გამოუცდელობის ბრალი იყო. ქართველები კარგად დაიწყებდნენ, მაგრამ მერე მეტოქე ტაქტიკას შეცვლიდა, ჩვენების ტაქტიკური არსენალი კი გაცილებით მწირი იყო. ერთად ყოფნის მეტი გამოცდილება რომ ჰქონოდათ, სავარაუდოდ, ჩვენებს ეს პრობლემა არ შეაწუხებდათ.

ერთ-ერთი მძლავრი მინუსი ლიდერთა არყოლა იყო. კი ამბობდა ჩვენი ნაკრების თავკაცი, გუნდური თამაშით უფრო მეტს მივაღწევთო, მაგრამ როგორც გამოჩნდა, ლიდერიც საჭირო ყოფილა. ჩვენი ნაკრების ბომბარდირი გახდა გიორგი შერმადინი, რომელიც საშუალოდ მატჩში 12,5 ქულას აგროვებდა და ის ტურნირის საუკეთესო მექულეთა ოცდაათეულშიც კი ვერ მოხვდა. შარშან, B დივიზიონში ყოფნისას, ხუთეულში ერთბაშად 2 ქართველი იყო — ვიქტორ სანიკიძე (24,5 ქულა) და გიორგი ცინცაძე (20,1 ქულა).

ქართველებმა გუნდურ კალათბურთი ლატვიასთან ითამაშეს, ტურნირისთვის რეკორდული 15 სამქულიანი ჩააგდეს და ასევე რეკორდული 102 ქულა მოაგროვეს. რამდენადაც პარადოქსული არ უნდა იყოს, ას ქულას ვერც ერთი ნაკრები ვერ ასცდა და ეს მოახერხა მე-12 ადგილზე გასულმა საქართველომ.

ლატვიასთან ყველას წაუვიდა თამაში — მიხეილ ჭოჭუას, რევაზ დიდიას, ლაშა ფარღალავას, გიორგი გაფრინდაშვილს, გიორგი შერმადინს, თუმც მამდევნო მატჩებში ყველა ამ მოთამაშემ განიცადა ჩავარდნა. ქართველებს სტაბილურობა მოაკლდათ და ასეთ დროს ლიდერს უნდა ეთქვა თავისი სიტყვა, მაგრამ ჩვენებს მოედანზე წინამძღოლი არ ჰყოლიათ.

ლიდერად მოიაზრებოდა გიორგი შერმადინი, რომელიც საქართველოს ჩემპიონატში შეუჩერებელია და ეროვნული ნაკრების კანდიდატიც გახლავთ, მაგრამ ამ მოთამაშემ ფრთები ვერ გაშალა და ყველა სერიოზულ ოპონენტს — განსაკუთრებით ხორვატ ანტე ტომიჩს — დაეჩაგვრინა.

ერთი სიტყვით, საქართველოს ნაკრებმა ევროჩემპიონატის პირველ ნახევარში გაგვახარა, მერე კი მიჯრით 5 მატჩი წააგო და მიუხედავად იმისა, რომ დასახულ მიზანს მიაღწია, სამშობლოში მთლად აღფრთოვანებული ვერ ბრუნდება. შარშან უფრო მეტი ემოცია ახლდა B დივიზიონში გაპირველებული ახალგაზრდების ჩამოსვლას.

ახლა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს მომავალ ზაფხულამდე შვებულება ელის და მერე კვლავ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპია. დრო ამ გუნდსაც დაასვამს დაღს და ასაკის ცენზის გამო უსტიაშვილის სამწყსოს 6-7 მოთამაშე გამოაკლდება. ანუ მომავალ წელსაც ახალი გუნდი გვეყოლება, თუმც ახალი შემადგენლობები ეყოლებათ სხვებსაც. ასეთია პრინციპი.

**ირაკლი ბერტაია**

| | თ | წთ | 2-იანი | 3-იანი | საჯ. | მოხ. | პას. | პერ. | დაკ. | ჩაჭ. | დაფ. | ქულ. | ქ-ს |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გიორგი შერმადინი | 8 | 23,7 | 36/64 | 0/0 | 28/37 | 59 | 12 | 26 | 21 | 2 | 17 | 100 | 12,5 |
| ლაშა ფარღალავა | 8 | 26,6 | 17/28 | 15/40 | 13/21 | 14 | 10 | 19 | 24 | 11 | 0 | 92 | 11,5 |
| მიხეილ ჭოჭუა | 8 | 26,3 | 11/25 | 18/47 | 15/20 | 18 | 10 | 24 | 16 | 4 | 2 | 91 | 11,4 |
| რევაზ დიდია | 7 | 24,2 | 8/14 | 16/46 | 0/2 | 14 | 13 | 13 | 7 | 3 | 1 | 64 | 9,1 |
| გიორგი გაფრინდაშვილი | 8 | 22,5 | 20/39 | 2/11 | 26/34 | 22 | 27 | 10 | 15 | 5 | 0 | 72 | 9,0 |
| რიჩარდ მათიაშვილი | 8 | 16,1 | 20/43 | 0/0 | 16/27 | 38 | 2 | 24 | 10 | 2 | 1 | 56 | 7,0 |
| გიორგი გულისაბედაშვილი | 5 | 12,2 | 2/5 | 4/10 | 1/2 | 3 | 0 | 4 | 2 | 2 | 0 | 17 | 3,4 |
| მიხეილ ბერიშვილი | 7 | 17,0 | 2/5 | 5/20 | 3/6 | 22 | 7 | 13 | 9 | 5 | 2 | 22 | 3,1 |
| ირაკლი ჯგერენაია | 6 | 10,0 | 5/10 | 1/5 | 5/6 | 9 | 0 | 9 | 3 | 1 | 2 | 18 | 3,0 |
| ლექსო ლაფანაშვილი | 8 | 14,6 | 2/5 | 6/15 | 2/2 | 18 | 4 | 8 | 6 | 5 | 0 | 24 | 3,0 |
| ბექა ნივნივაძე | 8 | 10,1 | 4/10 | 1/10 | 9/10 | 10 | 10 | 3 | 12 | 6 | 0 | 20 | 2,5 |
| ლევან ცეკვავა | 7 | 9,5 | 3/4 | 1/9 | 7/7 | 9 | 8 | 13 | 7 | 2 | 0 | 16 | 2,3 |

თ — თამაში; წთ — საშუალოდ ნათამაშები წუთები; 2-იანი — ნასროლი და ჩაგდებული ორქულიანები; 3-იანი — ნასროლი და ჩაგდებული სამქულიანები; საჯ. — ნასროლი და ჩაგდებული საჯარიმოები; მოხ. — მოხსნა; პას. — პასი; პერ. — პერსონალური; დაკ. — დაკარგვა; ჩაჭ. — ჩაჭრა; დაფ. — დაფარება; ქულ. —ქულა; ქ-ს — ქულები საშუალოდ



# ცქიტიშვილმა ლა ვეგასი ხუთეულში დახურა

**გუშინ** ლას ვეგასის საზაფხულო ლიგა დასრულდა, რომელშიც არაერთი ახალბედა გამოიცადა და მათთან ერთად სხვა, უფრო ხნიერ მოთამაშეებსაც მიეცათ თავის გამოჩენის შანსი.

ვიქტორ სანიკიძისთვის ლიგა 12 ივლისს დამთავრდა. ის „სან ანტონიოში" ირიცხებოდა და ორ თამაშშიც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ისეთი არაფერი გაუკეთებია, რომ ნიჭიერ მოთამაშეებზე ნასაფრებულ ნბა-ს კლუბების წარმომადგენლებისთვის თავი დაემახსოვრებინებინა. ამაში „ვიკას" ხელი ტრავმამ შეუშალა.

მეორე ქართველმა კი გუშინ დაასრულა ლასვეგასური ოდისეა. ნიკა ცქიტიშვილმა „დენვერის" ხუთეულში ითამაშა „ნიუ იორკის" წინააღმდეგ, მაგრამ ვერც ამჯერად წარმოაჩინა თავისი შესაძლებლობები. „სკიტამ" 16 წუთი გაატარა მოედანზე, თითო ორქულიანი და საჯარიმო ჩააგდო, თუმც ფარქვეშ შედარებით უკეთ გაისარჯა — 7 ბურთი მოხსნა.

„დენვერმა" 108:116 წააგო და ლიგა ხუთი თამაშში 3 მოგებით დაასრულა. ახლა კი იმის დრო დადგა, რომ გუნდების ხელმძღვანელებმა თითოეული მოთამაშის გამოსვლა შეაფასონ და ვინც ღირსია, კონტრაქტით დაასაჩუქრონ.

ცქიტიშვილს უკვე ჰქონდა კონტრაქტი დენვერელებთან, მაგრამ ახალი ველარ დაიმსახურა და ნბა-ს კლუბებში რამდენიმეწლიანი მიდი-მოდის შემდეგ ევროპაში დაბრუნდა. ნიკამ გასული სეზონი ესპანურ „ესტუდიანტესში" გაატარა და ახლა თავისუფალი აგენტის სტატუსით ახალ გუნდს ეძებს.

საქართველოს ეროვნული ნაკრები კი ხვალ იკრიბება და თბილისურ შეკრებაზე ნიკა ცქიტიშვილს ალბათ ვერ ვიხილავთ. აქედანვე ცნობილია, რომ არ იქნებიან ვლადიმერ ბოისა და ტაისონ ელისიც.

**ირაკლი ბერტაია**

# გადავირჩიოთო, პრეზიდენტი

## იან ჰომერზე ქართული ჩოგბურთის გადატრიალება მზადდება


გურამ მურადაშვილის ფოტო

31 ივლისს დიღომში მდებარე იან ჰომერის სახელობის საჩოგბურთო კომპლექსში ჩოგბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა გაიმართება და დღის წესრიგის პირველი საკითხი ფედერაციის პრეზიდენტ ლეილა მესხისთვის უფლებამოსილების ვადის შეჩერება და მისი გადარჩევა იქნება.

რიგგარეშე ყრილობის მოწვევის შესახებ განცხადება საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის წევრებმა ორი დღის წინ გამოაქვეყნეს. განცხადებას ხელს ფედერაციის 28 წევრი აწერს და იგი გუშინდელ „სარბიელში" დავბეჭდეთ. გუშინვე „იან ჰომერზე" საგანგებო პრესკონფერენცია მოეწყო. კრების მოწვევის მიზეზებსა და აუცილებლობაზე კომპანია „ქართული ჩოგბურთის" პრეზიდენტმა დავით ლანჩავამ, ვეტერანთა და მოყვარულთა ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ გოგლიძემ, მწვრთნელებმა არჩილ კეკელიამ და ირინა მალაციძემ და საქართველოს სადევისთასო ნაკრების ყოფილმა წევრმა ირაკლი უშანგიშვილმა ისაუბრეს

**დავით ლანჩავა**: „ფედერაციის ხელმძღვანელობასთან არანაირი პიროვნული დაპირისპირება არ არსებობს. ჩვენ მხოლოდ ქართულ ჩოგბურთში არსებული პრობლემების გამოსწორებასა და საქართველოში სპორტის ამ სახეობის გადარჩენაზე ვფიქრობთ. წესდების მიხედვით, მორიგი ყრილობა და ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები მომავალი წლის სექტემბერში უნდა ჩატარებულიყო. შეიძლება იკითხოთ, რატომ იქამდე არ მოიცდითო. გამოდის, რომ ამ ერთ წელზე თვალი უნდა დავხუჭა. არადა, დროს მართლა ოქროს ფასი აქვს. სექტემბრიდან ახალი ციკლი იწყება. სულ ცოტა, ათასი ბავშვი მაინც უნდა ჩავრთოთ ჩოგბურთში. ხვალინდელ დღეზე აქედანვე უნდა ვიფიქროთ, ამ სახეობის პოპულარიზაციაზე მაქსიმალურად ვიზრუნებთ. არსებობს აზრი, რომ ჩოგბურთი ძვირი სიამოვნებაა და მასზე აუცილებლად შეძლებული ოჯახების შვილები უნდა დადიოდნენ. ეს შეხედულება აუცილებლად უნდა შეიცვალოს. ადამიანები მონაცემების მიხედვით უნდა შეფასდნენ და არა იმით, ვის მამას რამდენი ფული აქვს. ნიჭიერ ბავშვებს თვითონ დავაფინანსებთ.

–დღესდღეობით ქართულ ჩოგბურთში კატასტროფული ვითარებაა. გასულ კვირაში „ბაბოლატის" ტურნირი ჩავატარეთ. ასეთი დონის შეჯიბრი 18-წლამდელებს შორის საქართველოში აქამდე არასოდეს გამართულა, მაგრამ, საუბედუროდ, 32 მონაწილის შეკრებაც კი შეუძლებელი გახდა. მხოლოდ 21 18-წლამდელი სპორტსმენი მოგროვდა. 10 და 12-წლამდელების „რენას თასზეც" თითებზე ჩამოსათვლელი ბავშვები გადიან კორტზე. რაღა მომავლის იმედზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა 32-კაციან ბადის შევსებაც პრობლემაა. საგანგებო კრების მოწვევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ მომავალი თაობის არარსებობაა. რეგიონებში ჩოგბურთი საერთოდ ჩამკვდარია. ფედერაცია არც ბაზების და საჩოგბურთო ინფრასტრუქტურის განვითარებასა და რეაბილიტაციაზე ზრუნავს. თუმც ამ პრობლემებს ვინ ჩივის, როცა მწირი ფინანსების მომიზეზებით ევროპის ასაკობრივ პირველობებზე ორის ნაცვლად მხოლოდ თითო ბავშვს უშვებენ ხოლმე.

–ჩოგბურთი მარტო ერთი ადამიანის არ არის, მთელი ქვეყნისაა და ჩვენი მთავარი ამოცანაა, კრიზისი აღმოიფხვრას. გვაქვს პროგრამაც. ჩოგბურთი ძვირი გახადეს და ვეცდებით, გავაიაფოთ. ჩვენი პროექტის ერთ-ერთი პირველი პუნქტი ქალაქის ყველა უბანში 2-2 ხელოვნურსაფარიანი კორტის გაკეთებაა, ნებისმიერ მსურველს რომ უფასოდ შეეძლოს თამაში. ხოლო როდესაც ხელისუფლება დაინახავს, რომ მატერიალური მოგება არ გვაინტერესებს და ამას მხოლოდ სპორტისთვის ვაკეთებთ, ისიც მხარში დაგვიდგება. უკვე ჩვენი შეურაცხყოფაც მოასწრეს, დილეტანტები გვიწოდეს. შეიძლება, უშუალოდ ჩოგბურთში პროფესიონალი არ ვარ, მაგრამ მთავარია, რომ გვერდით საქმის მცოდნე ხალხი მყავს. საქმის მართვასა და ბავშვებთან თუ საზოგადოებასთან ურთიერთობაში კი დილეტანტი ნამდვილად არ მეთქმის. მზად ვარ ნებისმიერი ჭორისთვის და პირად დაპირისპირებასა და შეურაცხყოფაში ჩართვას არ ვაპირებ.

–წესდების მიხედვით, ყრილობა ყოველწლიურად უნდა იმართებოდეს, მაგრამ ფედერაციას ეს არ ახსოვს და ამიტომ ჩვენ ვიწვევთ. საამისოდ ფედერაციის 83 წევრიდან 9-ის სურვილიც საკმარისი იყო, მაგრამ მსურველი ოცდარვაა. შექმნილ ვითარებას ყველა კარგად ხედავს და რეალურად რიგგარეშე ყრილობის ჩატარების მსურველთა რიცხვიც მეტია. ამ 28-დან 11 გამგეობის წევრია, სულ კი გამგეობა 17-კაციანია.

**ვლადიმერ გოგლიძე**: „56 წელია, ჩოგბურთში ვარ. ასეთი ცუდი პერიოდი ახლა რომაა, არასოდეს ყოფილა. ადრე სპორტი ნორმალურად და ინტენსიურად ვითარდებოდა, რადგან ბუნებრივად ხდებოდა თაობების ცვლა. დღეს კი ისეთი რღვევაა, თაობათა ცვლა საერთოდ აღარ არსებობს. 18-წლამდე მოთამაშეები თითქმის არ გვყავს. იტყვით, დევისის თასზე პირველ ჯგუფში ვართო. ირაკლი ლაბაძის და ლადო ჩიხლაძის შემცვლელები არ ჩანან. წლების შემდეგ დაბლა დავეშვებით. ეს ძალიან რეალურია."

**არჩილ კეკელია**: „აუცილებლად უნდა მივხედოთ ჩოგბურთს რეგიონებში. ადრე ქუთაისში, რუსთავსა და სხვა რაიონებში სპორტული ნაგებობები იყო, ჩოგბურთი დედაქალაქს გარეთაც ცოცხლობდა და ვითარდებოდა. თუ ეს საქმე არ გაკეთდა, საქართველოს ჩემპიონატი მარტო თბილისის გახდება.

**ირინა მალაციძე**: „ჩოგბურთი სპორტის ძვირი სახეობა კია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ღარიბებისთვის მისი კარი დახურულია. ნიჭიერ ბავშვებს ფედერაცია უნდა აფინანსებდეს და მათ გვერდით თვითონ პრეზიდენტი უნდა იდგეს. თუ ასე გაგრძელდა, როგორც ბოლო წლებშია, პერსპექტიული ჩოგბურთელები კარიერას კვლავ 16 წლის ასაკში დაასრულებენ."

**ირაკლი უშანგიშვილი**: „მე საქართველოში გაზრდილი ჩოგბურთელი ვარ. ისე ხდება, რომ მარტო უცხოეთში გაზრდილი მოთამაშეები აგრძელებენ კარიერას. აქ კი… ეს უნდა შეიცვალოს. ბავშვებს ინტერესი და უკეთესი მომავლის შანსი არ უნდა გაუქრეთ."

ფედერაციის წევრები ლეილა მესხის შემცვლელზე საუბარს ჯერ ერიდებიან — სანამ პრეზიდენტი ჰქვია, ამაზე მსჯელობა არ გვსურსო. კანდიდატურაც მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოცხადდება, თუ მოქმედ პრეზიდენტს გადააყენებენ. დავით ლანჩავამ კი სავარაუდო გაპრეზიდენტებაზე დასმულ კითხვას მოკრძალებით უპასუხა — თანამდებობა ნაკლებად მიზიდავს, მაგრამ თუ საჩოგბურთო სამყარო მხარს დამიჭერს, მზად ვარ, ვალდებულება ჩემს თავზე ავიღოო.

**ოთარ ბაღლაძელიძე**



# კვირის ბოლოს დასათვლელი

## ტატიშვილი ცინცინატში განათდა

**ეს კვირა** ქართველი ჩოგბურთელებისთვის საკმაოდ დატვირთულია. სხვადასხვა რანგის ტურნირებზე ათამდე ჩვენებური თამაშობს, თუ თამაშობდა და იმედია, რამდენიმე მათგანი მაინც, კვირის ბოლომდეც გავა.

ყველაზე მაღალრეიტინგულ, WTA-ტურის ეგიდით მიმდინარე შეჯიბრში ანა ტატიშვილი მონაწილეობს. ამერიკაში, ცინცინატის ჰარდზე 175-ათასიანი ტურნირი ტარდება და ანა კვალიფიკაციის გავლით ცდილობს ძირითად ბადეში მოხვედრას. პირვე წრეში ამერიკელ ნეა უბეროისთან გამარჯვების შემდეგ ტატიშვილმა მეორე მასპინძელი, კალათბურთის ლეგენდის, ჯულიუს ირვინგის უკანონო შვილი ალექსანდრა სტივენსონიც გაიარა.

ერთ დროს უნიჭიერეს მოთამაშედ მიჩნეულ სტივენსონი უიმბლდონის ნახევარფინალშიც კი ყოფილა, მაგრამ ახლა სხვა დროა და ალექსანდრა კვალიფიკაციიდან ცდილობს ელიტაში დაბრუნებას. ამჯერად არ გამოუვიდა. უაღრესად დრამატული პირველი სეტი ამერიკელმა ტაი ბრეიკზე კი მოიგო, მაგრამ მერე თამაში ქართველის კარნახით წავიდა. მეორე პარტიაში ანამ 6:2 იმარჯვა, ხოლო მესამეში, როდესაც 3:1-ს იგებდა, სტივენსონმა თამაში შეწყვიტა.

მესამე და გადამწყვეტ წრეში ტატიშვილმა 6:1 6:1 გაანადგურა კიდევ ერთი ამერიკელი კატერინ რაკერტი და ელიტარული ტურნირის ძირითად ბადეში თამაშის უფლება მოიპოვა.

დანარჩენი ჩვენებურები ITF-ის ეგიდით მიმდინარე ტურნირებში მონაწილეობენ. ამერიკაშივე ოლონდაც ქალაქ ვიხიტას ჰარდზე 10-ათასიანი შეჯიბრი ტარდება და სოფო მელიქიშვილი იქ ძირითად ბადეში იქნება.

ძირითად ბადეშია საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი მაკა ჩახნაშვილიც. ფრანგული კონტრეშევილის თიხნარზე 50-ათასიანი ტურნირია და მე-7 ნომრად განთესილი მაკა პირველ წრეში 26 წლისა და რეიტინგში 412-ე ადგილზე მყოფ ფრანგ აურელიე ვედის შეხვდება.

50-ათასიანი შეჯიბრი ტარდება უკრაინაშიც, დნეპროპეტროვსკის თიხნარზე და სამწუხაროდ, სოფო შაფათავამ საკვალიფიკაციო ბარიერი ვერ დაძლია. პირველ წრეში სოფომ 6:4 3:6 6:2 კი მოუგო რეიტინგში მასზე მაღლა, 578-ე ადგილზე მყოფ რუს იულია სოლონიცკაიას, მაგრამ შემდეგ, უკვე თავად დამარცხდა სამ სეტში — 6:4 4:6 3:6 კლასიფიკაციაში კიდევ უფრო მაღლა, 433-ე საფეხურზე მდგომ უკრაინელ ირინა კუზმინასთან.

გერმანულ ქალაქ გარხინგში 10-ათასიანი შეჯიბრია და ოკსანა კალაშნიკოვა კვალიფიკანტთა შორის პირველ ნომრად არის განთესილი. ძირითად ბადეში მოსახვედრად ოქსანას ჩეხი ჰანა ბირნეროვას დამარცხებაღა სჭირდება. ბირნეროვამდე ჩვენებურმა სლოვაკ პატრისია ვერეშოვას 6:2 6:2 სძლია.

დაბოლოს, სომხეთის დედაქალაქი ერევანი და იქაურ ჰარდზე მიმდინარე კაცთა 10-ათასიანი ტურნირი, სადაც ლადო ჩიხლაძე მე-2 ნომრად არის განთესილი და პირველ წრეში კორტის მასპინძელ გევორქ კირაკოსიანს ხვდება.

ძირითად ბადეშია გიორგი ხრიკაძეც, ვინც საწყის შეხვედრაში მასავით კვალიფიკაციიდან წამოსულ ირლანდიელ ჯეიმს კლუსკის დაუპირისპირდება.

საკვალიფიკაციო ეტაპზე სამი ქართველი იყო და პირველი წრე სამივემ წარმატებით განვლო — ხრიკაძემ სლოვაკ ანდრეი კურტისს მოუგო 6:1 6:4, გიორგი ჭანტურიამ რუსეთის სახელით მოთამაშე სომეხ ლევონ ფეროიანს 6:2 6:1 სძლია, ხოლო დემეტრე თაქთაქიშვილმა 7:6 6:0 დაჯაბნა უკრაინელი კირილო ბაისაკი.

მეორე წრეში ჭანტურია 0:6 2:6 დამარცხდა სლოვაკ მიხალ პაზიცკისთან, ხოლო ხრიკაძე და თაქთაქიშვილი ერთმანეთს შეხვდნენ და უფრო გამოცდილმა გიორგიმ დემეტრეს 6:3 6:4 მოუგო.



ელექტრონული ბიბლიოთეკა

### ფედერაციის თასი. ნახევარფინალური მატჩები. 14-15 ივლისი

# ვინუსმა სერენა დაიტირა

| იტალია 3:2 საფრანგეთი |
| --- |
| 0:1 ტატიანა გოლოვინი — ტატიანა გარბინი 6:3 2:6 6:2 |
| 1:1 ფრანჩესკა შიავონე — ამელი მორესმო 7:5 6:3 |
| 1:2 მორესმო — მარა სანტანჯელო 6:7 6:0 6:4 |
| 2:2 შიავონე — გოლოვინი 6:4 2:6 7:5 |
| 3:2 შიავონე/როზერტა ვინჩი — სევერინ ბრემონ/ნატალი დეში 4:6 6:1 6:2 |

| აშშ 2:3 რუსეთი |
| --- |
| 1:0 ანა ჩაკვეტაძე — ვანია კინგი 6:1 6:3 |
| 1:1 ვინუს უილიამსი — ნადია პეტროვა 7:6 0:6 6:4 |
| 2:1 უილიამსი — ჩაკვეტაძე 6:1 6:4 |
| 2:2 პეტროვა — მეილენ ტუ 6:1 6:2 |
| 2:3 პეტროვა/ელენა ვესნინა — უილიამსი/ლიზა რეიმონდი 7:5 7:6 |

**ფედერაციის** თასის ორივე ნახევარფინალი საოცრად დაძაბული და საინტერესო გამოდგა — ორივე შემთხვევაში გამარჯვებულებისა და შესაბამისად, ფინალისტების ვინაობა გადამწყვეტ, მეხუთე შეხვედრაში გაირკვა.

ჩვენ მაინც ვერმონტის შტატის პატარა ქალაქ სტოუში მომხდარი ამბებით დავიწყოთ, რადგან აშშ-რუსეთი მაინც განსხვავებული დაპირისპირებაა — ჩოგბურთის ამ ორი დიდი სკოლის ჯახი ყოველთვის საინტერესოა. ამჯერადაც ასე გამოვიდა, როცა გასულ უქმეებზე ორივე ნაკრებმა ლამაზი სანახაობა დადგა.

ამ ჯახში გამარჯვება სტუმრებს დარჩათ, რომლებმაც მასპინძლები სტაბილური შემადგენლობის ხარჯზე დაჯაბნეს. როგორც მოსალოდნელი იყო, სერენა უილიამსის არყოფნა ამ შეხვედრის გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა. მართალია, რუსებს გაცილებით სერიოზული დანაკლისი ჰქონდათ, რადგანაც მათ ერთაბაშად სამი ლიდერი აკლდათ — მარია შარაპოვა, სვეტლანა კუზნეცოვა და ელენა დემენტიევა. თუმცა ამის მიუხედავად, მათ მაინც ძალიან სოლიდური შემადგენლობა შეკრიბეს. აი, იანკებს კი ასეთი ფუფუნების საშუალება არ ჰქონდათ — სერენა ვერავინ შეცვალა.

ასეა თუ ისე, უფროსმა უილიამსმა სცადა ნაკრების საკუთარი ზურგით ტარება და კინაღამ გამოუვიდა კიდეც — ვინუსმა ხომ ერთეულთა თანრიგის ორივე შეხვედრა მოიგო, დაამარცხა რა სლავთა ორივე ლიდერი, ნადია პეტროვა და ანა ჩაკვეტაძე. მაგრამ უფროს შავდას სხვა იანკებმა ვერ აუბეს მხარი — ვანია კინგმა და მეილენ ტუმ უბრძოლველად დათმეს თავიანთი შეხვედრები. შედეგად, ამ ჯახის ბედი მეხუთე, წყვილთა მატჩს უნდა გადაეწყვიტა.

ამერიკელთა კაპიტანი ზინა გარისონი იძულებული გახდა, აქცენტი ისევ ვინუსზე გაეკეთებინა, რომელსაც ლიზა რეიმონდი შეუწყვილა. რუსთა გამოცდილი კაპიტანი შამილ ტარპიშევი კი, რომელმაც ძლივს ჩაუსწრო თავის ნაკრებს უკვე ყბადაღებული სავიზო პრობლემების გამო, იმავე პეტროვასა და დასვენებულ ვესნინას ენდო. წესით, ორივე ნაკრები თანაბარ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო, მაგრამ უფროს უილიამსს კვირას ჩაკვეტაძესთან გამარჯვებისას უკვე ეტყობოდა გადაღლა, რაც განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა წყვილთა მატჩისას — ვინუსი ვერ იყო ჩვეულად აქტიური და რუსებმა მასპინძლები მაინც გატეხეს, რითაც უკანასკნელ ოთხ წელიწადში მესამედ დაიბევეს ადგილი ფედერაციის თასის ფინალში.

აქ რუსებს მოქმედ ჩემპიონ იტალიასთან მოუწევთ შეხვედრა, რომელმაც კიდევ ერთხელ გაამწარა საფრანგეთი. უკვე ვიუწყებოდით, რომ გალები აპენინებზე შარშანდელი მარცხისთვის შურის საძიებლად იყვნენ ჩასულნი. განსაკუთრებით ამელი მორესმო ბაქიაობდა, იტალიელებს ადგილს მივუჩენთო. მაგრამ ერთი წლის წინანდელისა არ იყოს, ამ შეხვედრის ანტიგმირად ისევ მორესმო იქცა — ერთეულთა შორის ფრანჩესკა შიავონესთან მარცხს მას კიდევ დიდხანს ამოადენენ ცხვირში ძმრად.

აი, შიავონემ კი ნამდვილი გმირობა ჩაიდინა და ნაკრები ფაქტობრივად მარტომ გაიყვანა ფინალში — ფრანჩესკამ იტალიელთა მოპოვებულ სამივე ქულაში შეიტანა თავისი წვლილი. მან ერთეულთა თანრიგის ორივე შეხვედრა მოიგო, როცა მორესმოს ტატიანა გოლოვინიც მიაყოლა, რის შემდეგაც რობერტა ვინჩისთან წყვილში ფრანგული დუეტიც დაამარცხა. ფინალი რუსეთში გაიმართება, სადაც მასპინძლები უეჭველი ფავორიტების რანგში ითამაშებენ. მით უმეტეს, რომ მანამდე, სავარაუდოდ, კუზნეცოვაცა და დემენტიევაც გამოჯანმრთელდებიან და ფინალის ხათრით ეგებ შარაპოვამაც იკადროს ნაკრებში თამაში.

**კახა ლომჯარიძე**



# სანტორომ მეხუთე ჩაიხუტა

**ფაბრის სანტორომ** ხუთწლიანი გვალვა შეწყვიტა და 2002 წელს დუბაიში გამარჯვების შემდეგ პირველი ტურნირი მოიგო. ვეტერანმა ფრანგმა როდ აილენდური ნიუპორტის ბალახზე იყოჩაღა, ფინალში დაამარცხა რა თანამემამულე ნიკოლა მაჰუ.

თავისი არაორდინალური სათამაშო სტილის (ყველა დარტყმას ორი ხელით ასრულებს) გამო სანტორო არაერთხელ მოხვედრილა ჩოგბურთის მოყვარულთა ინტერესის სფეროში — მით უმეტეს, რომ მას თავისი ორიგინალური კომბინაციებითა და მეტოქეთათვის ძალიან უხერხული, ჩახვეული დარტყმებით არაერთი ბობოლა გაუმწარება. თუმცა ფრანგ ვეტერანს იშვიათად მიუქცევია ყურადღება ამა თუ იმ ტურნირზე ზეობის გამო — ეს მისთვის მხოლოდ მეხუთე კარიერული ტიტულია.

ნიუპორტის ფინალში კი სანტორომ მაჰუ მაგრად გაამწარა თავის ჩახლართული კომბინაციებით. აშკარად ტიტულზე დაგეშილ 25 წლის ფრანგს არ სიამოვნებდა გამოცდილი თანამემამულე რომ ჯაბნიდა, რის გამოც ბრაზს ხან ჩოგნებზე, ხანაც მსაჯებზე იყრიდა. ნამატჩევს მაჰუ მხრებს იჩეჩდა:

„ასე არავისთან გამჭირვებია. თითქოს უპირატესობა მქონდა, მაგრამ, მგონი, წინასწარ ხვდებოდა, სად დავარტყამდი და იქით მირბოდა, რის გამოც აღარ ვიცოდი, რა მექნა. ამ ჩახვეულმა დარტყმებმა ხომ სულ გამომიყვანა წყობიდან".

34 წლის სანტორო ტურნირის ლამის ყველაზე ასაკიან გამარჯვებულად იქცა. მასზე უფროსი მხოლოდ დიდი ანდრე აგასი იყო, როცა აქ ორი წლის წინ 35 წლის ასაკში იჩემპიონა.

„ყოველ ტურნირზე გამარჯვების იმედით ჩადიხარ, მაგრამ როცა ტიტულს ხუთი წელი ვერ იგებ, გგონია, რომ ასეთ სიამოვნებას ვეღარასოდეს განიცდი. ამიტომ ძალიან ბედნიერ ვარ ამ პატარა ტრიუმფით" — უხაროდა ნამატჩევს სანტოროს, რომელმაც პირადი ანგარიში 65 000 დოლარით შეივსო.

# სარეიტინგო ადი-ჩადი


სალომე დევიძე

**გუშინ** პროფესიონალ ჩოგბურთელთა მორიგი რეიტინგები გამოქვეყნდა, რომლებშიც 16 ჩვენებურია — სამი კაცი და ცამეტი ქალი. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ ხანგრძლივ ვარდნის შემდეგ WTA-ს კლასიფიკაციაში მდგომარეობა შედარებით გამოასწორეს ანა ტატიშვილმა, სალომე დევიძემ და სოფო მელიქიშვილმა. განსაკუთრებით დევიძის პროგრესია აღსანიშნავი. მან ერთბაშად 94 პოზიცია მოიგო, 551-ე ადგილზე აინაცვლა და ქართველ ქალთა შორის მესამე პოზიცია დაიბრუნა.

ტატიშვილმა და მელიქიშვილმა, შესაბამისად 17 და 20 ნაბიჯით წაიწიეს წინ, ხოლო დანარჩენები დაახლოებით ისევ იქ არიან, სადაც იყვნენ.

| კაცები | | |
| --- | --- | --- |
| 543 (+4) | ლადო ჩიხლაძე | 42 |
| 823 (0) | ირაკლი ლაბაძე | 15 |
| 1332 (+3) | ნოდარ ითონიშვილი | 2 |
| **ქალები** | | |
| 146 (-1) | მაკა ჩახნაშვილი | 227,0 |
| 368 (+17) | ანა ტატიშვილი | 57,25 |
| 551 (+94) | სალომე დევიძე | 26,75 |
| 620 (-5) | სოფო შაფათავა | 21,0 |
| 647 (+20) | სოფო მელიქიშვილი | 19,0 |
| 736 (+4) | მანანა შაფაქიძე | 14,0 |
| 773 (0) | ოქსანა კალაშნიკოვა | 12,5 |
| 783 (0) | ეკა გორგოძე | 12,0 |
| 963 (-9) | სოფო ქვაცაბაია | 7,0 |
| 1059 (+4) | თინა ყაველაშვილი | 5,0 |
| 1085 (+1) | სალომე ჩაჩხუნაშვილი | 4,75 |
| 1259 (+7) | მარიამ ქურდაძე | 2,75 |
| 1281 (+10) | თეონა ცერცვაძე | 2,5 |

## კაცები

| განთესვის რეიტინგი | |
| --- | --- |
| 1 როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7290 |
| 2 რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 5225 |
| 3 ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 3310 |
| 4 ენდი როდიკი (აშშ) | 3230 |
| 5 ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 3175 |
| 6 ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2780 |
| 7 ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2085 |
| 8 რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 2085 |
| 9 ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2075 |
| 10 ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 2045 |
| 11 ტომი ჰაასი (გერმანია) | 2035 |
| 12 ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 1940 |
| 13 მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1875 |
| 14 ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1865 |
| 15 დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1725 |
| 16 გილერმო კანასი (არგენტინა) | 1607 |
| 17 ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 1470 |
| 18 მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1370 |
| 19 ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 1335 |
| 20 კარლოს მოია (ესპანეთი) | 1295 |

| საჩემპიონო რბოლა | |
| --- | --- |
| 1 რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 886 |
| 2 როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 801 |
| 3 ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 561 |
| 4 ენდი როდიკი (აშშ) | 329 |
| 5 ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 325 |
| 6 ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 293 |
| 7 ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 280 |
| 8 რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 257 |
| 9 დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 255 |
| 10 მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 249 |
| 11-12 გილერმო კანასი (არგენტინა) | 241 |
| 11-12 ტომი რობრედო (ესპანეთი) | 241 |
| 13 ტომი ჰაასი (გერმანია) | 240 |
| 14 ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 239 |
| 15 მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 227 |
| 16 ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 214 |
| 17 კარლოს მოია (ესპანეთი) | 209 |
| 18 ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 208 |
| 19 ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 204 |
| 20 პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) | 186 |

## ქალები

| განთესვის რეიტინგი | |
| --- | --- |
| 1 ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 4457 |
| 2 მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3678 |
| 3 ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3241 |
| 4 სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2978 |
| 5 ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2898 |
| 6 ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2424 |
| 7 სერენა უილიამსი (აშშ) | 2380 |
| 8 ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2221 |
| 9 ნადია პეტროვა (რუსეთი) | 2002 |
| 10 ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1973 |
| 11 მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1875 |
| 12 დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1857 |
| 13 მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1845 |
| 14 დინარა საფინა (რუსეთი) | 1742 |
| 15 ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1699 |
| 16 პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1671 |
| 17 ვინუს უილიამსი (აშშ) | 1655 |
| 18 შაჰარ პირი (ისრაელი) | 1529 |
| 19 ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1410 |
| 20 ნა ლი (ჩინეთი) | 1159 |

| საჩემპიონო რბოლა | |
| --- | --- |
| 1 ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 3245 |
| 2 ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 2990 |
| 3 ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2431 |
| 4 სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2161 |
| 5 სერენა უილიამსი (აშშ) | 2141 |
| 6 მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1785 |
| 7 ვინუს უილიამსი (აშშ) | 1630 |
| 8 ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1495 |
| 9 დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1463 |
| 10 ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1421 |
| 11 მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1420 |
| 12 ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1406 |
| 13 დინარა საფინა (რუსეთი) | 1336 |
| 14 ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1288 |
| 15 შაჰარ პირი (ისრაელი) | 1222 |
| 16 მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1186 |
| 17 პატი შნიდერი (შვეიცარია) | 979 |
| 18 ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 966 |
| 19 სიბილ ბამერი (ავსტრია) | 940 |
| 20 ნა ლი (ჩინეთი) | 937 |

ოლიმპიზმი

# უგუნდო საქართველოს ძიუდოისტების ეიმედება

**რამდენიმე დღეში სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში დაიწყება ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი, რომელშიც საქართველოს სპორტსმენებიც გამოვლენ. ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სპორტული დირექტორატის წევრ გიორგი ესაკიას, რომელიც ბელგრადის ოლიმპიურ სოფელში დაბინავებული საქართველოს დელეგაციის მეთაური იქნება**

**— ცნობილია, რომ ამგვარი ფესტივალის პროგრამა ყოველ თამაშებზე იცვლება. წლეულს რომელ სახეობებში გაიმართება შეჯიბრებები?**

— პროგრამაშია კალათბურთი, წყალბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა, ცურვა, ტანვარჯიში, ველორბოლა, ძიუდო, ჩოგბურთი და მაგიდის ჩოგბურთი. აქედან ამ ფესტივალზე დებიუტი ექნება მაგიდის ჩოგბურთს, სადაც ჩვენი სპორტსმენებიც იასპარეზებენ. საერთოდ, ჩვენი სპორტსმენები, გუნდური სათამაშო სახეობების გარდა, ყველა სახეობაში გამოვლენ.

**— სათამაშო სახეობების წარმომადგენლებმა რაღა დააშავეს?**

— არაფერი დაუშავებიათ. უბრალოდ, მონაწილეობის თაობაზე განაცხადის წარდგენა იყო საჭირო, თუმცა შეიძლება ეს საკმარისი არ აღმოჩენილიყო, რადგან საორგანიზაციო კომიტეტი ყაბულს უნდა ყოფილიყო. საქართველომ კალათბურთელთა ტურნირზე დაშვება ითხოვა, რაც დაკმაყოფილდა კიდეც, მაგრამ შემდგომ აღმოჩნდა, რომ ფესტივალი და შესაბამისი ასაკის წარმომადგენელთა ევროპის ჩემპიონატი ერთმანეთს ემთხვეოდა. საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ არჩევანი ევროპის ჩემპიონატზე გააკეთა.

**— სულ რამდენიმე სპორტსმენით იქნება საქართველო ?**

— 27, სულ კი დელეგაციაში 46 კაცი იქნება.

**— როგორ მოემზადნენ ჩვენი სპორტსმენები ამ ფესტივალისთვის?**

— მზადება ბოლო დღემდე გაგრძელდება. თუ საწვრთნელ შეკრებებს გულისხმობთ, ეს ზოგმა გუნდმა უკვე დაასრულა, ზოგიც ისევ შეკრებაზეა.

**— ყველაზე მეტ იმედებს ვისზე ამყარებთ?**

— რა თქმა უნდა, ძიუდოისტებზე, რომლებიც ამგვარ ფესტივალებზე ჩვენს მთავარ დამრტყმელ ძალას წარმოადგენენ. გუნდში იქნება ახლახანს გამართული ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის მონაწილე ნაკრების 5 ძიუდოისტი, რომლებმაც მედლები მოიპოვეს. ესენი არიან ევროპის ჩემპიონი ზებედა რეხვიაშვილი, მეორე პრიზიორი ზვიად კაპანაძე, ბრინჯაოს მედალოსნები — გიორგი მერმანიშვილი, ოთარ კაიდარაშვილი და ვაჟა დაბრუნდაშვილი, რომლებიც, იმედია, ბელგრადიდანაც არანაკლები ნადავლით დაბრუნდებიან. მწვრთნელებს ასევე ეიმედებათ ტრაპიზონში შავი ზღვის აუზის ქვეყნების სპორტულ თამაშებში მეტნაკლებად თავგამოჩენილი მძლეოსნების, მათ შორის გიორგი ბედოშვილისა, რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა. აგრეთვე ჩოგბურთელ ეკატერინე გორგოძისაც, რომელიც თანატოლთა შორის რეიტინგით ევროპაში უძლიერესია. ასე რომ, ბელგრადიდან საკმაო მედლებით დაბრუნებას ვგეგმავთ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

სუმო

# კოკაის კენტი და ლუწი

**წლის** მეოთხე, ნაგოიას ბაშოზე უკვე რვა დღე მიილია და ქართველი ლევან ცაგურია ივლისურ ჭიდაობას კვლავაც აიწონა-დაიწონას პრინციპით აგრძელებს — კენტ ტურებში იგებს და დადებით ბალანსს იქმნის ხოლმე, მაგრამ მერე წყვილნომრიან ტურებში მარცხდება და მისი პლუს-მინუსიც ნულის ტოლი ხდება.

გასულ უქმეებზე ბაშოს მეშვიდე და მერვე ტურები იყო და კოკაიმ შაბათს კი აჯობა ტოიოჰიბიკის, ვისაც მანამდე მხოლოდ ერთი წაგება ჰქონდა, მაგრამ კვირას ოს ბათრაზ ბორაძოვთან, იგივე ჰაკუროზანთან დამარცხდა და ოთხი მოგების წილ ამდენივე წაგება გაუხდა.

„შავ ზღვად“ წოდებული ქართველი და „თეთრ რუსულ მთად“ წოდებული რუსი მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს დოჰიოზე და ახლა ამ დაპირისპირებაშიც თანაფარდობაა — 1:1.

კვირას ორშაბათი მოჰყვა, ორშაბათს კი მეცხრე, ანუ კენტი ტური იყო და კოკაიმაც არ უღალატა ტრადიციას — ექს-კომუსუბი კაკიძოე დოჰიოდან მაყურებლებში გადაუშვა და მეხუთე გამარჯვება იზეიმა.

ივლისის ბაშოს კვლავაც დაუმარცხებელ [illegible] იოკოძუნა, 22 წლის მონღოლი ხაკუხო და კარიერაში იმპერატორის თასის ერთადერთხელ, 2001 წლის აკი-ბაშოზე ამწევი 31 წლის სეკივაკე კოტომიცუკი, ვინც ასე თუ გააგრძელებს, ოძეკის წოდებამდე ამაღლდება.

ხაკუხომ შაბათს კომუსუბი ამინისიკი დაჩაგრა, კვირას სუმოს უმაღლესი დივიზიონის ყველაზე დაბალ წევრს, 168-სანტიმეტრიან ტოინოსიმას აჯობა, ხოლო გუშინ აღმოსავლეთის პირველი მაეგაშირა კოტოსიოგიკუ დაამარცხა. რაც შეეხება კოტომიცუკის, მან უქმეებზე თავისი ძველი მეგობარი ტაკამისაკარი და ხუთი ბაშოს მომგები ვეტერანი ოძეკი კაიო დაამარცხა, გუშინ კი ადვილად გაუსწორდა ტოინოსიმას.

დღეს, მე-10 ტურში ხაკუხო და კოტომიცუკი ერთმანეთს დაეტაკებიან. აქამდე ისინი თხუთმეტჯერ შეყრილან და იოკოძუნა ამ დაპირისპირებაში 10:5-ს იგებს.

უძლეველ ლიდერებს 8-8 ქულით უკან ორნი მიჰყვებიან — იოკოძუნა ასასიორიუ და აღმოსავლეთი მეექვსე მაეგაშირა ხომასიო, ხოლო კაიოს ანგარიშზე 7 გამარჯვებაა.

კრივი

# ძველი როი

## ჯონსი ნახევარ სამყაროს ითხოვს



**როი ჯონს-უმცროსმა** მორიგი შოუ დადგა — ამ უქმეებზე ლეგენდარული ამერიკელი ჩვეულად პოზიორობდა, მეტოქეს ყველანაირად აღიზიანებდა და ცდილობდა, მისთვის გახსნილი ბრძოლა შეეთავაზებინა, რათა მაყურებელს არ მოეწყინა. ამერიკულ ბილოკსიში შეკრებილი ხალხიც ჩვეული აღტაცებით შეხვდა თავის კერპს, თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ამ შოუს აკლდა ჯონსისეული მარილი — ნოკაუტით მოგება. როიმ ხომ სწორედ ნოკაუტებით მოპოვებული გამარჯვებებით დაიმსახურა კრივის მოყვარულთა სიყვარული.

ასეა თუ ისე, 38 წლის ჯონსისთვის ეს გამარჯვება მაინც ბევრს ნიშნავს — ჯერ ერთი, წლეულს პირველად მოუწია რინგზე გასვლა; მეორეც, ზედიზედ სამჯერ წაგების შემდეგ ეს მისი მეორე წარმატება გახლდათ. დაბოლოს, ჯონსს საკმაოდ სერიოზული მეტოქე ჰყავდა აქამდე დაუმარცხებელი (21 მოგება, ერთი ფრე) 29 წლის ენტონი ჰენშოუს სახით. ამ გამარჯვებით ოთხ სხვადასხვა წონაში ექსჩემპიონმა ჯონსმა ნახევრადსაშუალო წონაში აქამდე ვაკანტური IBF-ს ტიტული მოიპოვა.

გამარჯვების მიუხედავად, ჯონსს ეტყობა, რომ ის მაინც ძალიან შორს არის იმ ფორმისგან, რომელმაც მას უდიდესი პოპულარობა მოუპოვა — ვეტერანი მძიმედ გამოიყურებოდა და რიგ მომენტებში გაუმართლა კიდეც. როის თავიდანვე დაეტყო, რომ ვერ იყო ჩვეულ იმტაზე, როცა საწყის რაუნდებში მისი მუშტები ზოგჯერ მეტოქემდე არც აღწევდა. თუმც არც ჰენშოუ გამოიყურებოდა უკეთესად, ვისი შეტევების უმეტესობას ჯონსი ძალიან იოლად იგერიებდა. ბრძოლის შუა წელი კი სულაც უინტერესო საცქერი გამოდგა, რადგანაც ორივე მოკრივე დაცვაში იდგა. სიტუაცია ბოლოსკენ გამოცოცხლდა და ჩხუბის აპოგეად მეთერმეტე რაუნდი იქცა, როცა ჯონსმა შეძლო დარტყმების კარგი სერიის განხორციელება და ჰენშოუ ფიცარნაგს დაანარცხა. აქ მთელი დარბაზი ფეხზე წამოიჭრა, რადგანაც ყველას ეგონა, რომ ჯონსმა ნოკაუტით მოიგო, მაგრამ არა — ჰენშოუ წამოდგა და ბრძოლის ბოლომდე გაძლო.

ჯონსს სამივე მსაჯმა დაუჭირა მხარი და კარიერაში 54-ე გამარჯვება მოიპოვა. თუმც ბრძოლის შემდეგ ჰენშოუ უკმაყოფილო იყო: „გამარჯვება მომპარეს. მესმის, რომ ის ლეგენდაა, მაგრამ ეგრეც ხომ არ შეიძლება. დიდი-დიდი, ორი რაუნდი მოიგო — დანარჩენში უპირატესობა მე მქონდა“.

ჰენშოუ უკმაყოფილო კი არის, მაგრამ როდის იყო, ბრძოლის შემდეგ წაგებულს ეთქვას, მარცხს ვიმსახურებდიო.

აი, გახარებულმა ჯონსმა კი ენა ამოიდგა, პრესკონფერენციაზე თითქმის ყველას გადასწვდა და საჩხუბრად ლამის ნახევარი კრივის სამყარო გამოიწვია. როის განსაკუთრებით მატჩ-რევანშების გამართვა სწყურია თავის გამამწარებლებთან — გლენ ჯონსონთან, ენტონი ტარვერთან და ფელიქს ტრინიდადთან. მეტიც, ჯონსი მზად არის, წონაში მოიმატოს, კიდევ ერთხელ გადავიდეს მძიმეწონოსანთა შორის და ვლადიმირ კლიჩკოს დაუპირისპირდეს.

მოკლედ, ჯონსი დაბრუნდა — შეიძლება ის რინგზე ძველებურად შოუმენი ვეღარ იყოს, მაგრამ მიკროფონთან ჩვეულად ენაჭარტალაა.

**ქახა ლომჯარიძე**



## გატი ნოკაუტში წავიდა

**„ასტალავისტა, ბეიბი“** — არნოლდ შვარცნეგერის „ტერმინატორის“ ამ ცნობილი ფრაზით დაემშვიდობა კრივის სამყაროს არტურო გატი. 35 წლის კანადელმა რინგის მიტოვება ამ უქმეებზე მექსიკელი ალფონსო გომესისგან დანოკაუტების შემდეგ გადაწყვიტა. ამ ბრძოლის წინ გატის ყველა გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა — იმიტომ კი არა, რომ კანადელი შესაშურ ფორმაში იყო, არამედ გომესს კრივის სამყაროში არაფრად აგდებენ. მექსიკელს ასე იმიტომ უყურებენ, რომ მან სახელი ერთ-ერთ ამერიკულ რეალითი შოუში მონაწილეობით გაითქვა. ჰოდა, გატისგან მსახიობთან ყველა იოლ მოგებას ელოდა, პირიქით კი მოხდა.

გომესს თავიდანვე წაუვიდა მარჯვნიდან დარტყმები, რომლებსაც გატი ვერაფერს უხერხებდა. მექსიკელმა ეს კარგად გამოიყენა და კარგა ხანი გვარიანად გვემა კანადელი, ბოლო კი მეშვიდე რაუნდში მოულო, როცა კუთხეში მიიმწყვდია და რამდენიმე პირდაპირისა და ჰუკის შემდეგ მეტოქე ნოკაუტში გაუშვა. „ჯანმრთელობას ვეღარ დავაყენებ საფრთხის ქვეშ. მე, რა თქმა უნდა, დავბრუნდები, ოღონდ მხოლოდ მაყურებლის რანგში“ — დაგვემშვიდობა გატი.

## ხანის ხანა

**პროფესიონალებში** ახლახან გადასულმა ოლიმპიურმა ვარსკვლავმა ინგლისელმა ამირ ხანმა დიდი წვალებით დაამარცხა გამოცდილი შოტლანდიელი ვილი ლაიმონდი და თანამეგობრობის ჩემპიონი გახდა უმსუბუქეს წონაში. ხანი წკიპზე გადაურჩა წაგებას, როცა მეხუთე რაუნდში შოტლანდიელმა ნოკდაუნში გაუშვა. ინგლისელი ძლივს კი წამოდგა, მაგრამ გონზე მოსვლა მალე მოახერხა და შემდეგ რაუნდში უკვე თავად დაანოკდაუნა მეტოქე. მეცხრე რაუნდში კი ბრძოლა ლეიმონდის შტაბმა გააჩერა, რადგანაც ამ დროისთვის ხანს მეტოქისთვის ყბაც მოენგრია და ცხვირიც გაეტეხა, რის გამოც ბრძოლის გაგრძელება შოტლანდიელის სიცოცხლისთვის სახიფათო ხდებოდა.

**ქახა ლომჯარიძე**

# ინვიმებს, გაი იტირებს

## ბეკელემ შეფილდური ამინდი შეიფერა







კენენისა ბეკელესა და მიშელ პერის შეფილდში ბადალი არ ჰყავდათ

**შუა ინგლისისთვის** აგრერიგ დამახასიათებელმა ჟუჟუნა წვიმამ უდროოდ დაასველა შეფილდის სამძლეოსნო მოედანი და ტრიბუნებზე ქოლგებქვეშ შეყუჟული ოთრკშირელების რეკორდის ნახვის იმედები.

პირმშვენიერი ქალაქი შეფილდი იააფ-ის მორიგ გრან პრის მასპინძლობდა და იქ რამდენიმე სპორტსმენი, მათ შორის ჩვენგან ასე ხშირად ნახსენები ამერიკელი ტაისონ გაი მსოფლიო რეკორდის ხსენებით ჩავიდა, მაგრამ დილით სასტუმროს ნომერში გალვიძებულს წვიმა ჯერ ფანჯარაში დახვდა, მერე კი სარბენ ბილიკზე და შეპირებული რეკორდიც გადაიდო.

ამერიკელი სპრინტერი ინგლისში 100 მეტრის სარბენად და ასაფა პაუელის 9,77-წამიან რეკორდზე გასალაშქრებლად გაემგზავრა. მუგუზალივით შავი გაი საზოგადოდ 200 მეტრზე უფრო დამაჯერებლად გრძნობს თავს და სხეულს, მაგრამ ამ დისციპლინაში მაიკლ ჯონსონის რეკორდთან (19,32) მიახლოებაზე საუბარსაც ვერ ბედავს, ასაფას რეკორდის დევნა კი სიტყვით მაინც შეუძლია. ჰოდა, ჩავიდა შეფილდში ამ გათვლით — სარბენი ბილიკი აქ შედარებით სწრაფიაო (კიდევ იმიტომაც, რომ იქ პაუელი არ დახვდებოდა), მაგრამ...

გაიმ მაინც კომფორტული სხვაობით აჯობა მთავარ მდევრებს — მასპინძელ მარლონ დევონშირსა და პორტუგალიელ ფრენსის ობიკველუს, მაგრამ საკუთარმა დრომ, 10,13 წამმა პრეტენზიული ამერიკელი ვერ ალაფრთოვანა. „გუშინ სარბენ ბილიკზე სავარჯიშოდ რომ გამოვედი, მზე და სითბო დამხვდა, მაგრამ დღეს ამინდი შეიცვალა — ჩიოდა გაი — ცოტა იმედგაცრუებული ვარ. დღეს ვერ გავაკეთე ჩქაროსნული ვარჯიშები და შედეგიც ცუდი მქონდა. მინდოდა, სწრაფად მერბინა, მაგრამ სხეული ამისთვის მზად არ იყო."

დევონშირი 0,10 წამით ჩამორჩა გაის, ობიკველუ — მეტით.

შეფილდში კვირადღეს, ცხადია, ყველასათვის წვიმდა და სარბენი ბილიკიც ნებისმიერისთვის დამძიმებული იყო, მაგრამ ერთი მორბენლისთვის ამინდს დიდი შემაფერხებლის ფუნქცია არ შეუსრულებია. ეთიოპიელმა მრავალგზის მსოფლიოს ჩემპიონმა კენენისა ბეკელემ შეფილდში 3 კილომეტრზე სირბილი გადაწყვიტა და ლამაზადაც მოიგო. ბეკელე ავსტრალიელი კრეიგ მოტრამის გვერდიგვერდ მირბოდა, ვისთანაც შარშან მსოფლიოს თასი წააგო და უძლეველის სახელი დაკარგა. მაგრამ შეფილდში ავსტრალიელს შარშანდელის გამეორების დიდი შანსი არ მისცემია. ბეკელე იდეალური იყო და ყველაფერი ისე გააკეთა, ისე სწრაფად და გონივრულად ირბინა, რომ მოტრამი სადღაც უკან დატოვა, თავად კი 7.26,69 შედეგით ამ მრავლისმნახველი სტადიონის რეკორდი სამი წამით გააუმჯობესა და სეზონის რეკორდიც ჩაიწერა.

მოტრამი ბეკელეს ბარე 8 წამით ჩამორჩა. სირბილის შემდეგ ავსტრალიელი ცოტა დაბოღმილი ამბობდა, დღეს თქვენ ნამდვილი კრეიგ მოტრამი არ გინახავთ, სინამდვილეში ის ბევრად უკეთესიაო.

დაძაბული გამოვიდა ქალთა და ვაჟთა 200-მეტრა გარბენები. ტაისონ გაიმ თავი 100 მეტრისთვის გადადო, ასე რომ, 200 მეტრზე უფავორიტოდ დარჩენილებმა თვალებში გამოიხედეს და თანაბრად ძლიერად მოინდომეს გამარჯვება. დანარჩენი ექვსისა რა მოგახსენოთ და, გამარჯვებას ორი სპრინტერი თანაბრად იმსახურებდა. კუნთმაგარმა ამერიკელმა ვოლეს სპირმონმა და კნაჭა იამაიკელმა უსაინ ბოლტმა ფინიში სტარტიდან ერთსა და იმავე დროში — 20,08 წამში გადაკვეთეს და ფოტოფინიშმა გამარჯვებულად ამერიკელი ცნო. ნაკლებად დაძაბული გამოვიდა ქალთა 200 მეტრი. არბიტრებს გამარჯვებულის გამოსავლენად იმდენი ხანი არ დასჭირდათ ვიდეოგამეორების ყურება, როგორც კაცებში. 22,35 წამით ასევე ამერიკელმა ელისონ ფელიქსმა იმარჯვა.

ფავორიტებმა იფავორიტეს კაცთა 110 და ქალთა 100 მეტრ თარჯრბენებშიც. კაცებში ჩინელმა ლიუ სიანმა ისევ და ისევ წვიმის გადამკიდემ არცთუ მაღალი შედეგი აჩვენა — 13,23, თუმც მოსაგებად ესეც ეყო. მის ზურგს უკან მხოლოდ მეოთხე იყო კუბელი დეირონ რობლესი (13,37). მას ამერიკელმა რაიან უილსონმა და ბრიტანელმა ენდრიუ ტერნერმაც გაასწრეს. ქალებში პირველობა არავის დაანება მიშელ პერიმ (12,78 წამი). საგულისხმოა, რომ ქალთა 100 მეტრ თარჯრბენში მონაწილეობა მიიღო შვიდჭიდელმა (შვიდ სამძლეოსნო სახეობას მოიცავს) კაროლინა კლუფტმა. ქერა შვედგოგომ დაამტკიცა, რომ ნამდვილი უნივერსალია და თარჯებზე დაოსტატებულ გოგოებში 13,31 წამით საპატიო მეხუთე ადგილი დაიჭირა.

**კოტე ყორშია**



## მსოფლიო ლიგა. კაცები. ფინალური ეტაპი

### კატოვიცე. პოლონეთი. 11–15 ივლისი

# ბრაზილია დონეა!

## რუსები იწყებენ და აგებენ

**ნახევარფინალი**

**ბრაზილია 3:1 პოლონეთი**
**25:23 23:25 25:21 25:23**

**რუსეთი 3:1 აშშ**
**25:22 17:25 25:13 25:21**

**მე-3 ადგილისთვის**

**აშშ 3:1 პოლონეთი**
**25:19 25:21 22:25 25:19**

**ფინალი**

**ბრაზილია 3:1 რუსეთი**
**18:25 25:23 28:26 25:22**

**კაცთა** ფრენბურთის ჰეგემონი, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილიის ნაკრები ზედიზედ მეხუთედ, სულ კი მეშვიდედ გახდა უპრესტიჟულესი მსოფლიოს ლიგის გამარჯვებული.

მსოფლიო ლიგა, რომლის წლევანდელი საპრიზო ფონდიც, სხვათა შორის ვთქვათ და 20 მილიონი დოლარი იყო, ბრაზილიელებმა კატოვიცეში მეორედ მოიგეს. პირველად ეს 2001 წელს მოხდა. მომდევნო წელს ბრაზილიელებმა საკუთარ ქვეყანაში ვერ იხეირეს და 2003 წლიდან კი მათ ბადალი აღარ ჰყავთ.

წლევანდელ ფინალურ ეტაპზე საქმე ისე იყო, რომ ჯგუფიდან რომ გასულიყვნენ, ბრაზილიელებს ბოლო მატჩში აუცილებლად უნდა მოეგოთ რუსებისთვის, რადგანაც მანამდე სენსაციურად დამარცხდნენ ბულგარელებთან. იმ მატჩის პირველ პარტიაში რუსებმა 25:22 იძალეს, მაგრამ შემდეგი სამი სეტი სამხრეთამერიკელებს დარჩათ და შესაბამისად, ისინი რუსებთან ერთად ნახევარფინალშიც გავიდნენ.

ნახევარფინალში ბრაზილიელებმა საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში აჯობეს მასპინძლებს, ხოლო რუსებმა უპრობლემოდ დაამარცხეს ამერიკელები და ფინალში ჯგუფური ეტაპის გამეორება გამოვიდა, თანაც, თითქმის ასპროცენტიანი სიზუსტით — პირველ პარტიაში ისევ სლავებმა იძალეს და ისინი მეორეშიც 22:19 იგებდნენ, მაგრამ შემდეგ მთელი ძალით ათამაშდნენ მსოფლიო ფრენბურთის ვარსკვლავი ჟიბა, აგრეთვე მურილიო და დანტე და ბრაზილიელებმა 25:23 მოიგეს სეტი და ანგარიში გაათანაბრეს. მესამე პარტიის ბედიც ბოლოსკენ გაირკვა და ისევ ლათინოსებმა იმარჯვეს. მეოთხე პარტიაში რუსები უკვე გატეხილები იყვნენ და ბრაზილიელებს აღარ გასჭირვებიათ საბოლოო გამარჯვების მოპოვება.

**ოთარ მხეიძე**



## 94-ე ტურ დე ფრანსი 7-29 ივლისი

# მთებზე მაღალი მთები

## გაუძლებს, პიკზე მყოფი ტურის პიკს?

„თუ ასე გავაგრძელებ, და ისეთ ფორმაში ვარ, რომ ვატყობ, შემიძლია ასე გაგრძელება, ძალზე ძნელი იქნება ჩემთვის ყვითელი მაისურას წართმევა“ — ეს ჰოლანდიური „რაბობანკის“ დანიელი მრბოლის მიქაელ რასმუსენის სიტყვებია.

33 წლის დანიელმა კვირას ბრწყინვალე სტილში მოიგო ურთულესი ალპური ეტაპი და რიგით 94-ე „ტურ დე ფრანსის“ გენერალურ კლასიფიკაციას სათავეში ჩაუდგა.

რასმუსენი ისე ადვილად გაექცა პელოტონს და იმხელა უპირატესობით მივიდა ფინიშთან, რომ მართლაც ბრწყინვალე ფორმაში უნდა იყოს. თავი დავანებოთ საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე მყოფ ახალგაზრდა გერმანელ ლინუს გერდემანს და დანარჩენებს რასმუსენი კარგა გვარიანად უსწრებს. მაგრამ მისი სიტყვები, მაინც გადაჭარბებულად გვეჩვენება და აი, რატომ: ჯერ ერთი, რომ რასმუსენი თითო სამთო ეტაპს ბოლო წლებში ყოველთვის იგებდა და საუკეთესო სამთო მრბოლიც ხდებოდა; მაგრამ საბოლოო ჩათვლაში მოწინავეთა შორის ვერ ხვდებოდა; მეორე და უმთავრესი ის გახლავთ, რომ დანიელი ძალზე სუსტია ინდივიდუალურ რბოლაში. ლონდონურ 8-კილომეტრიან პროლოგში მან მხოლოდ 166-ე შედეგი აჩვენა და გამარჯვებულთან წუთი და 16 წამი წააგო. ეს 8 კილომეტრზე და რა იქნება 50 თუ 60 კილომეტრიან ეტაპებზე, ძნელი სათქმელია.

ეგეც არ იყოს, წინ კიდევ ოთხი სამთო ეტაპია და რასმუსენს ამხელა თავისუფლებას აღარ მისცემენ, ასე ადვილად არ გაუშვებენ წინ.

დანიელის ყვითელ მაისურას უკვე დღეს ელის სერიოზული გამოცდა და, თუ დე იზერანისა და გალიბიერის გიგანტურ მთებს წარმატებით გაუძლო, მერე, სამი ეტაპის შემდეგ და პირინეების წინ პირველი ინდივიდუალური რბოლა იქნება.

დღევანდელი დღე კი მარტო რასმუსენისთვის არ იქნება გამოცდა. 2770-მეტრიანი დე იზერანი და 2645-მეტრიანი გალიბიერი ბევრ კითხვას გასცემენ პასუხს. ერთი ეგ არის, რომ ფინიში მათში არ არის და გალიბიერის მწვერვალიდან კიდევ 38 კილომეტრია დაღმართში გასავლელი, მაგრამ იმ მწვერვალამდე ასვლა ხომ უნდა და ფავორიტთა სია, ალბათ გვარიანად გაიცხრილება.

გარკვეულწილად ამ სიიდან უკვე ამოვარდა მთავარ ფავორიტად მიჩნეული ალექსანდრ ვინოკუროვი, ვინც რასმუსენთან 5 წუთსა და 23 წამს, ხოლო ალეხანდრო ვალვერდესთან 2 წუთსა და 32 წამს აგებს. მეხუთე ეტაპზე დაცემას შემდეგ „ვინო“ აშკარად ველარ არის ჯანზე. გაცილებით ყოჩაღად გამოიყურება „ასტანას“ მეორე ნომერი, გერმანელი ანდრეას კლოდენი, ვინც აგრეთვე დაეცა იმ დათარსულ მეხუთე ეტაპზე. კვირას კლოდენს ბოლო კილომეტრებზე ვინოკუროვი რომ არ „ჩაება“ კუდში, ალბათ უფრო წინაც იქნებოდა, მაგრამ ამ წუთისთვის მხოლოდ მეთორმეტეა და „ასტანელთაგან“ ყველაზე წინ კი ანდრეი კაშეჩკინი გახლავთ.

კაშეჩკინს თავისი ასაკისა და გამოუცდელობის გამო, ალბათ მაინც გაუჭირდება და რუს-ყაზახების შემდეგ ნამდვილი რუსისაც ვთვაქთ. დენის მენშოვი ძლიერი მრბოლია, მაგრამ ის ახლა ფრიად საჩოთირო სიტუაციაში აღმოჩნდა — ყვითელი მაისურა მის თანაგუნდელს აცვია და „რაბობანკი“, სავარაუდოდ, სწორედ რასმუსენზე იმუშავებს და არა მენშოვზე.

საეჭვოა, რომ მესამე ადგილზე მყოფმა იბან მაიომაც ბოლომდე ასე სტაბილურად მაღალ დონეზე იაროს და გამოდის, რომ ფავორიტთა წრე რამდენიმე მრბოლამდე დავიწროვდა — ალეხანდრო ვალვერდე, კედელ ევანსი, კრისტოფ მორო, ალბერტო კონტადორი, ფრენკ შლეკი და კარლოს სასტრენურც ლევი ლეიფჰეიმერსა და ოსკარ პერეირო სიოს დავივიწყებთ, მაგრამ მენშოვის არ იყოს, საერთო ჩათვლაში ეს ორნიც ჩამორჩებიან თანაგუნდელებს, შესაბამისად კონტადორსა და ვალვერდეს.

თუმცა, ეს ყველაფერი ვარაუდებია. დღევანდელმა ორკუზიანმა ეტაპმა, შეიძლება, ყველაფერი თავდაყირა დააყენოს. სამაგალითოდ კვირის რბოლაც გამოდგება, რომელმაც პრაქტიკულად ჯვარი დაუსვა „T-მობაილის“ იმედებს — ჯეელი გერდემანი რომ ჩამორჩებოდა, ისედაც ნათელი იყო და გერმანულ ველოგუნდს ერთბაშად სამი ლიდერი გამოაკლდა — ავსტრალიელი როჯერსი, გერმანელი სანკევიჩი და ბრიტანელი კავენდიში. ესენი სამივენი ტრავმების გამო გამოეთიშნენ რბოლას, ხოლო სპრინტის ოსტატები, „ლოტოს“ ავსტრალიელი რობი მაკივენი და „ლამპრეს“ იტალიელი დანილო ნაპოლიტანო, უბრალოდ, დროის ლიმიტში ვერ ჩაეტივნენ — მაკივენმა და ნაპოლიტანომ ეტაპის მომგებ რასმუსენისგან საათისა და 16 წუთის ჩამორჩენით უწიეს ფინიშს, მაშინ, როდესაც ლიმიტი 40 წუთი იყო და ავტომატურად გამოაკლდნენ „ტურის“ მონაწილეთა სიას.

წინ კი წლევანდელი რბოლის უმაღლესი მწვერვალებია. ამ გიგანტურ მთებზე ბევრი წაიტეხს კისერს.

**გია მუჯირი**




94-ე „ტურ დე ფრანსის“ დღევანდელი, მე-9 ეტაპის პროფილი



## მსოფლიოს ჩემპიონატი. მეათე ეტაპი




დენი პედროსამ სეზონში პირველი გამარჯვება იზეიმა

AFP ფოტო

# გაიქცა და წაიქცა

## როსი სტოუნერის დევნაში დაიღალა

**აღმოსავლეთ გერმანიაში,** ჰემნიცის (ყოფილი კარლ-მარქსშტადტი) მახლობლად მოწყობილ აღმართ-დაღმართიან ტრეკზე მოტომხედრებმა მეხუთედ გაიჯირითეს „დოიჩლანდ გრან პრისთვის“. ეტაპს 101 ათასი (!) მაყურებელი დაესწრო.

უმთავრესი ყურადღება, ცხადია, ყველაზე პრესტიჟული და მძლავრი, „სამეფო კლასისადმი“ იყო მიპყრობილი. შარშან მოულოდნელად ტიტულდაკარგული ვალენტინო როსი მიმდინარე სეზონშიც მდევრის როლშია და ავსტრალიელ კეისი სტოუნერთან 21-ქულიანი პასივის შემცირებას „ზახსენრინგზე“ აპირებდა. პირიქით კი მოხდა. ეს იტალიელი „დოქტორის“ წლეულს ყველაზე უხეირო ეტაპი გამოდგა და ოზთან ჩამორჩენა უფრო გაიზარდა კიდეც.

როსის პრობლემები შაბათს დაეწყო, როცა კვალიფიკაციაში მხოლოდ მეექვსე დრო აჩვენა. რბოლის სტარტზე, რაც ჩვეულებად ექცა, ამჯერადაც შეყოვნდა და სამი პოზიცია დაკარგა. მართალია, სამიოდ წრეში შეძლო სტატუს-კვოს აღდგენა, მაგრამ მორიგი მეტოქის, კერძოდ, ფრანგ რენდი დე პიუნეს გასწრებისას ვერ მოზომა, მკვეთრ მოსახვევში „ფიატ-იამაჰა“ მოუცურდა და ტრასიდან გავარდა.

სტოუნერი ამ დროს მეორე იყო ესპანელ დანიელ პედროსას უკან და უმთავრესი კონკურენტის გამოთიშვის შემდეგ გასალიდერებლად აღარც გაუბრძოლია, თუმც მომეტებული სიფრთხილის გამო საპოდიუმე ადგილის შენარჩუნება ვერ შეძლო და ფინიშთან მეხუთე მივიდა.

21 წლის პედროსამ სეზონში პირველი დიდი პრიზი მოიგო. 34 წლის ვეტერან ლორის კაპიროსისთვის ეს პირველი მეორე ადგილია, ხოლო მოქმედმა ჩემპიონმა ნიკი ჰეიდენმა ზედიზედ მეორე პოდიუმით ოდნავ გაიუმჯობესა ვითარება და მეცხრე გახდა გენერალურ კლასიფიკაციაში.

ლიდერი შეიცვალა ყველაზე დაბალ, 125 კუბურსანტიმეტრიან კატეგორიაში. აბსოლუტური წარმატება იზეიმა 26 წლის უნგრელმა გაბორ ტალმაშიმ — კვალიფიკაციაც მოიგო, უსწრაფესი წრეც მისი იყო, ამასთან ტრეკის რეკორდით და როგორც დაიწყო ბრძოლა ყველაზე წინ, ასევე პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

წლეულს მეორე გამარჯვებით ბუდაპეშტელმა პილოტმა მესამე ადგილზე გასულ ესპანელ ჰექტორ ფაუბელს ცხრა ქულით აჯობა და ცხრილში მეწინავეობაც დაიბრუნა.

**გია ახალაძე**

### გერმანიის დიდი პრიზი. ზახსენრინგი — 3,671 კმ

**მოტო გრან პრი — 110,13 კმ**

1 დანიელ პედროსა (ესპანეთი, რეპსოლ ჰონდა) — 41 წთ; 53,2
2 ლორის კაპიროსი (იტალია, დუკატი მალბორო) — ჩამორჩ. 13,2
3 ნიკი ჰეიდენი (აშშ, რეპსოლ ჰონდა) — 16,8

**საერთო ჩათვლა**

1 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, დუკატი მალბორო) 196 ქულა; 2 ვალენტინო როსი (იტალია, ფიატ იამაჰა) 164; 3 პედროსა 144; 4 ჯონ ჰოპკინსი (აშშ, რიზლა სუზუკი) 103; 5 მარკო მელანდრი (იტალია, ჰონდა გრეზინი) 97

**250 სმ³ — 106,46 კმ**

1 ჰიროში აოიამა (იაპონია, რედ ბულ KTM) — 41 წთ; 16,2
2 მიკა კალიო (ფინეთი, რედ ბულ KTM) — ჩამორჩ. 0,12
3 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, მასტერ აპრილია) — 0,27

**საერთო ჩათვლა**

1 ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა აპრილია) 191 ქულა; 2 დე ანჯელისი 171; 3 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, კოპრონ ჰონდა) 166; 4 ალვარო ბატისტა (ესპანეთი, მასტერ აპრილია) 116; 5 ჰექტორ ბარბერა (ესპანეთი, ტოტი აპრილია) 90

**125 სმ³ — 99,12 კმ**

1 გაბორ ტალმაში (უნგრეთი, ბანკახა აპრილია) — 39 წთ; 30,8
2 ტომოიოსი კოიამა (იაპონია, რედ ბულ KTM) — ჩამორჩ. 3,5
3 ჰექტორ ფაუბელი (ესპანეთი, ბანკახა აპრილია) — 3,6

**საერთო ჩათვლა**

1 ტალმაში 156 ქულა; 2 ფაუბელი 154; 3 კოიამა 118; 4. ლუკაშ პეშეკი (ჩეხეთი, ზელდორფ დერბი) 113; 5 სიმონე კორსი (იტალია, სკაილდ აპრილია) 110

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო აზველედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge